1020

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა
12 მაისი
1940 წ.
№ 108 (5809)
ფასი 10 კაპ.

# საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

მოსკოვისა და ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციების შუამდგომლობის საფუძველზე, დაგვიანებული გაზაფხულისა და თესვის გაჭიანურების გამო, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა: პარტმუშაკები თესვას რომ არ მოსწყდნენ, **XVIII** საკავშირო პარტიული კონფერენცია მიმდინარე წლის ივნისიდან გადატანილ იქნას წლის ბოლოსათვის.

# მებოსტნეობის შემდგომი აღმავლობის უმნიშვნელოვანესი ღონისძიება

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 9 მაისის დადგენილებას „კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის სავალდებულო ჩაბარების შესახებ", რომელიც „კომუნისტის" დღევანდელ ნომერში ქვეყნდება, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბოსტნეულის საზოგადოებრივი ნათესების და მოსავლიანობის შემდგომი გადიდების საქმეში. კომბოსტოს, სუფრის ჭარხლის, სტაფილოს, თავიანი ხახვის, კიტრისა და პომიდორის დამზადებისა და კონტრაქტაციის დღემდე არსებული სისტემა, რაც ამ დადგენილებით გაუქმებულია, ვერ უზრუნველჰყოფდა აღნიშნული ბოსტნეულის წარმოების აღმავლობას.

ამიერიდან კოლმეურნეობები ბოსტნეულ კულტურებს: კომბოსტოს, სუფრის ჭარხალს, სტაფილოს, თავიან ხახვს, კიტრსა და პომიდორს სახელმწიფოს ჩააბარებენ სავალდებულო წესით კოლმეურნეობებზე მიმაგრებული სახნავი მიწის ფართობის მიხედვით. ამასთან ამ მიწიდან, როგორც სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაშია აღნიშნული, „გამოირიცხება ის ფართობები, რომლებიც უჭირავთ ბოსტნეული კულტურების ჯიშიან სათესლეებს და საკონსერვო ბოსტნეული კულტურების ნათესებს ბოსტნეულის გადამმუშავებელ საწარმოთა ზონებში (ბადრიჯანი, წიწაკა, ყაბაყი, მწვანე ბარდა, ტკბილი სიმინდი, პარკი ლობიო, ისპანახი, მჟაუნა, კორნიშონი)".

ამავე დროს სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის ჩაბარების ნორმების დაწესების დროს გათვალისწინებული იქნება ცალკეული რაიონისა და კოლმეურნეობის თავისებურებანი. ქალაქებთან, სამრეწველო ცენტრებთან და ბოსტნეულის გადამმუშავებელ საწარმოებთან ახლო მდებარე რაიონებსა და კოლმეურნეობებს ჰექტარობრივი ნორმები გაუდიდდებათ, ხოლო შორეულ ადგილებში მდებარე რაიონებს და კოლმეურნეობებს, საიდანაც მოხმარების ადგილზე ბოსტნეულის გადატანა ძნელია, ეს ნორმები შეუმცირდებათ, ან კიდევ სავალდებულო ჩაბარებისაგან ისინი სრულიად განთავისუფლდებიან. მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შემცირდეს ბოსტნეულის სავალდებულო ჩაბარების ის ნორმები, რაც დაწესებულია მთლიანად ოლქის, მხარისა და რესპუბლიკისათვის.

კოლმეურნეობებს უფლება ეძლევათ შეფარდებითი ნორმების მიხედვით კომბოსტოს, კიტრის, სუფრის ჭარხლისა და პომიდორის ნაცვლად სახელმწიფოს ჩააბარონ თავიანი ხახვი და სტაფილო, ხოლო დიდი ქალაქების საგარეუბნო და საკონსერვო ქარხნების ზონებში მყოფ კოლმეურნეობებს ქარხნების დირექტორთა თანხმობით კომბოსტოს, კიტრისა და სუფრის ჭარხლის ანგარიშში შეუძლიათ ჩააბარონ პომიდორი. კოლმეურნეობები ვალდებული არიან სახელმწიფოს ჩააბარონ კონდიციური ბოსტნეული და მტკიცედ შეასრულონ თვიური დავალებანი იმ ანგარიშით, რომ საქართველოს სს რესპუბლიკაში წლიური ჩაბარება დამთავრდეს: კომბოსტოსი, თავიანი ხახვის, სტაფილოსი და სუფრის ჭარხლისა — 15 ნოემბერს, კიტრისა და პომიდორისა — 1 ოქტომბერს.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 9 მაისის დადგენილებით იმ კოლმეურნეობებს, რომლებიც დაწესებულ ვადებში აბარებენ სახელმწიფოს ბოსტნეულს, უფლება აქვთ ნაჭარბი ბოსტნეული დაუბრკოლებლად გაჰყიდონ ბაზარზე, ხოლო იმ კოლმეურნეობებს, რომლებიც წესიერად არ ასრულებენ თვეების მიხედვით ბოსტნეულის ჩაბარების ვალდებულებებს, შემდგომ თვეებში უფლება ერთმევათ თავიანთი ვალდებულების მთლიანად შესრულებამდე ეს ბოსტნეული კერძოდ გაჰყიდონ.

სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის სავალდებულო ჩაბარება, ისე როგორც სხვა სახელმწიფო ვალდებულებათა პირნათლად შესრულება თვითეულ კოლმეურნეობის საპატიო ამოცანაა. ვალდებულების განზრახ შეუსრულებლობა კი ისჯება კანონით. ეს მტკიცედ უნდა იქნას გათვალისწინებული.

კოლმეურნეობების, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების და სამიწათმოქმედო ორგანოების ხელმძღვანელთა ვალია მთელი სერიოზულობით მოჰკიდონ ხელი სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 9 მაისის დადგენილების საფუძველზე საზოგადოებრივი მებოსტნეობის განვითარების საქმეს.

საქართველოს კოლმეურნეობებში ყოველწლიურად იზრდება ბოსტნეული კულტურების ფართობი. საკმარისია ითქვას, რომ მარტო წელს საქართველოს კოლმეურნეობებში ბოსტნეულ - ბაღჩეულ კულტურებს 14000 ჰექტარი უჭირავთ, 3.373 ჰექტარით მეტი, ვიდრე შარშან. კერძოდ თბილისის, მცხეთისა და ყარაიის რაიონებში ბოსტნეული კულტურები 1937 წელთან შედარებით შარშან 41 პროცენტით გაიზარდა. ამ რაიონებთან ერთად თვალსაჩინოდ გაფართოვდა ბოსტნეულის ნათესები ალბულაღის, კასპისა და საგარეჯოს რაიონებში, რომლებიც ბოსტნეულით ქალაქ თბილისს ამარაგებენ. მაგრამ ყველა შესაძლებლობანი ბოსტნეულის ფართობისა და მოსავლიანობის გადიდების საქმეში ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული.

ამჟამად ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ფართოდ გამოვიყენოთ სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა მდიდარი გამოცდილება, მებოსტნეობაში დავნერგოთ ბოსტნეული კულტურების თესვის, რგვის, ნათესების დამუშავებისა და მოსავლის აღების მაღალი აგროტექნიკა, ყველა კოლმეურნეობაში შევქმნათ მუდმივი რგოლები, მოსავლიანობის შემდგომი გადიდების უზრუნველსაყოფად მაქსიმალურად გამოვიყენოთ სასუქების ადგილობრივი რესურსები და შემოვიღოთ ნათესების ხელოვნური მორწყვა.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის დადგენილების საფუძველზე უნდა მივაღწიოთ იმას, რომ თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ფოთის, სოხუმის და სხვა ქალაქების ირგვლივ შევქმნათ კარტოფილ-ბოსტნეულის ბაზები, რომლებმაც მთლიანად უნდა უზრუნველჰყონ ამ ქალაქების უხვად მომარაგება ბოსტნეულით. „ბოსტნეულის მოსავლიანობის შემდგომი გადიდების საკითხები უნდა დადგეს მებოსტნეობის რაიონების, პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოების ყურადღების ცენტრში" **(ქ. ჩარკვიანი).**

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის სავალდებულო ჩაბარების შესახებ ყველა კოლმეურნეობისა და კოლმეურნისაგან, პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოების ხელმძღვანელებისაგან მოითხოვს ბოლშევიკურად იმუშაონ საკოლმეურნეო მებოსტნეობის განმტკიცებისა და შემდეგი აღმავლობისათვის, რათა ჩვენი ბედნიერი ქვეყნის ადამიანებს მივაწოდოთ უხვი და მაღალხარისხოვანი ბოსტნეული. ამ საპატიო ამოცანის წარმატებით შესრულება კიდევ უფრო განამტკიცებს და ააყვავებს ჩვენს კოლმეურნეობებს, გაზრდის მათს დოვლათსა და სიმდიდრეს, წინ წასწევს კოლმეურნეთა შეძლებულობას.

# კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის სავალდებულო ჩაბარების შესახებ

## სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს კოლმეურნეობათა დაინტერესება ბოსტნეულის საზოგადოებრივი ნათესების შემდგომი გაფართოებით, მოსავლიანობის გადიდებით, არარაციონალური საოლქთაშორისო გაზიდვის ლიკვიდაციით, აგრეთვე იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას ქალაქები ბოსტნეულით და ბოსტნეულის გადამმუშავებელი საწარმოები საჭირო ნედლეულით, — სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი **ადგენენ:**

1. გაუქმდეს შემდეგი ბოსტნეული კულტურების საკონტრაქტაციო და სამეურნეო ხელშეკრულებათა მიხედვით დამზადების არსებული წესი: კომბოსტოს, სუფრის ჭარხლის, სტაფილოს, თავიანი ხახვის, კიტრისა და პომიდორისა.

2. დაწესდეს, რომ, 1940 წლის მოსავლიდან დაწყებული, კოლმეურნეობანი ვალდებული არიან ჩააბარონ სახელმწიფოს ბოსტნეული კულტურები: კომბოსტო, სუფრის ჭარხალი, სტაფილო, თავიანი ხახვი, კიტრი, პომიდორი კოლმეურნეობებზე მიმაგრებულ ყოველ ჰექტარ სახნავ მიწაზე, რაც გამოიანგარიშება „კოლმეურნეობათა და ერთპიროვნულ მეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის მარცვლისა და ბრინჯის სავალდებულო ჩაბარების შესახებ" სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 11 აპრილის დადგენილების მე-2 მუხლის შესაბამისად, ამასთან ამ სახნავი მიწიდან გამოირიცხება ის ფართობები, რომლებიც უჭირავთ ბოსტნეული კულტურების ჯიშიან სათესლეებს და საკონსერვო-ბოსტნეული კულტურების ნათესებს ბოსტნეულის გადამმუშავებელ საწარმოთა ზონებში (ბადრიჯანი, წიწაკა, ყაბაყი, მწვანე ბარდა, ტკბილი სიმინდი, პარკი ლობიო, ისპანახი, მჟაუნა, კორნიშონი).

3. დაევალოს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, საკ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებს და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, ოლქში, მხარეში, რესპუბლიკაში სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის სავალდებულო ჩაბარების დაწესებული ნორმების შესაბამისად, დააწესონ კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის (კომბოსტო, სუფრის ჭარხალი, სტაფილო, თავიანი ხახვი, კიტრი, პომიდორი) სავალდებულო ჩაბარების რაიონობრივი წლიური ნორმები და, სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს მიერ ამ ნორმების დამტკიცების შემდეგ, გამოაქვეყნონ 1940 წლის 20 მაისისათვის.

სახელმწიფოსათვის სავალდებულო მიწოდების წესით ბოსტნეულის ჩაბარების ნორმების დაწესების დროს გაითვალისწინონ:

ა) ბოსტნეულის ჩაბარების ნორმების გადიდება იმ რაიონებისა და კოლმეურნეობებისათვის, რომლებიც ახლოს მდებარეობენ ქალაქებთან, სამრეწველო ცენტრებთან, ბოსტნეულის გადამმუშავებელი საწარმოების სასადგურო და საქარხნო ზონებთან, აგრეთვე სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის სავალდებულო ჩაბარებისაგან სრულიად განთავისუფლება იმ შორეული რაიონებისა და კოლმეურნეობებისა, საიდანაც მოხმარების ადგილზე ბოსტნეულის მიტანა ძნელია, მაგრამ იმ ანგარიშით, რომ სავსებით იქნას დაცული ბოსტნეულის სავალდებულო ჩაბარების ნორმები, რაც დაწესებულია მთლიანად ოლქისა, მხარისა და რესპუბლიკისათვის;

ბ) რომ ბოსტნეულის სავალდებულო ჩაბარების ნორმები არ იქნას დაწესებული ბოსტნეულის იმ კულტურებზე, რომლებიც ამა თუ იმ რაიონში ან კოლმეურნეობაში არ მოჰყავთ მიზანშეუწონლობის გამო.

ცალკეული კოლმეურნეობებისათვის ბოსტნეულის ჩაბარების რაიონობრივი ნორმები გაადიდონ ან შეამცირონ, აგრეთვე ცალკეული კოლმეურნეობანი სავსებით გაათავისუფლონ ბოსტნეულის ჩაბარებისაგან მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა, რაც უნდა დაამტკიცონ სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულებმა ოლქებსა, მხარეებსა და რესპუბლიკებში (რომლებსაც საოლქო დაყოფა არა აქვთ), მაგრამ ისე, რომ სავსებით იქნას დაცული ბოსტნეულის სავალდებულო ჩაბარების ნორმები, რომლებიც დაწესებულია მთლიანად რაიონისათვის.

მარცვლის, ბრინჯის, კარტოფილისა და ზეთოვანი კულტურების თესლის სავალდებულო ჩაბარების ნორმების დაწესების დროს სათანადოდ გაადიდონ ან შეამცირონ ეს ნორმები იმ რაიონებისა და კოლმეურნეობებისათვის, რომლებმაც მიიღეს სახელმწიფოსათვის სავალდებულო მიწოდების წესით ბოსტნეულის ჩაბარების შემცირებული ან გადიდებული ნორმები.

4. ნება დაერთოს კოლმეურნეობებს:

ა) ყველგან (გარდა ბოსტნეულის გადამმუშავებელ საწარმოთა ზონებისა, სადაც შეცვლა საწარმოთა დირექტორების თანხმობით ხდება) სავალდებულო მიწოდების წესით ჩააბარონ თავიანი ხახვი და სტაფილო, ნაცვლად სხვა ბოსტნეული კულტურებისა—

10 ცენტნერ კომბოსტოში — 2,5 ცენტნერი თავიანი ხახვი
ან — 7 ცენტნერი სტაფილო;
10 ცენტნერ კიტრში — 4 ცენტნერი თავიანი ხახვი
ან — 10 ცენტნერი სტაფილო;
10 ცენტნერ სუფრის ჭარხალში — 2 ცენტნერი თავიანი ხახვი
ან — 6 ცენტნერი სტაფილო;
10 ცენტნერ პომიდორში — 5 ცენტნერი თავიანი ხახვი
ან — 12 ცენტნერი სტაფილო;

ბ) ქალაქ მოსკოვის, ლენინგრადის, გორკის, კუიბიშევის, სვერდლოვსკის, ჩელიაბინსკის, ტულის საგარეუბნო ზონებში, აგრეთვე საკონსერვო ქარხნების ზონებში, ქარხნების დირექტორთა თანხმობით, სავალდებულო მიწოდების წესით ჩააბარონ პომიდორი, ნაცვლად სხვა ბოსტნეული კულტურებისა —

10 ცენტნერ კომბოსტოში — 3 ცენტნერი პომიდორი;
10 ცენტნერ კიტრში — 7 ცენტნერი პომიდორი;
10 ცენტნერ სუფრის ჭარხალში — 3 ცენტნერი პომიდორი.

5. უფლება მიეცეს სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატს კოლმეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის სავალდებულო მიწოდების შესრულების ანგარიშში ბოსტნეულის ჩაბარებისას დაუშვას ერთი ბოსტნეული კულტურების შეცვლა სხვა კულტურებით სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ ექვივალენტთა მიხედვით.

6. დაევალოს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს კოლმეურნეობათათვის დაამტკიცონ ბოსტნეულის ცალკეულ კულტურათა ჩაბარების თვიური ვადები (საკონსერვო ქარხნების ზონებში კი, ჩაბარების თვიური ვადების ფარგლებში, დამზადებათა სახალხო კომისარიატის რაირწმუნებული ადგენს საკონსერვო ქარხნებისათვის ბოსტნეულის თანაბარი ჩაბარების წესს ქარხნების საწარმოო გეგმათა და ბოსტნეულის შემოსვლის ვადების გათვალისწინებით), მაგრამ ისე, რომ კოლმეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის ჩაბარების მთლიანად შესრულება დამთავრდეს შემდეგ ვადებში:

| ოლქი, მხარე და რესპუბლიკა | კომბოსტო | თავიანი ხახვი | კიტრი | სტაფილო | სუფრის ჭარხალი | პომიდორი |
|---|---|---|---|---|---|---|
| არხანგელსკის, ვოლოგდის, კიროვის, მოლოტოვის, სვერდლოვსკის ოლქები, კომის ასსრ, უდმურტეთის ასსრ, კარელია-ფინეთის სსრ | 1 ნოემბერს | 15 ოქტომბერს | 1 სექტემბერს | 15 ოქტომბერს | 15 ოქტომბერს | — |
| ვორონეჟის, გორკის, ივანოვოს, კალინინის, კუიბიშევის, კურსკის, ლენინგრადის, მოსკოვის, ორიოლის, პენზის, რიაზანის, სარატოვის, სმოლენსკის, ტამბოვის, ტულის, ჩელიაბინსკის, ჩკალოვის, იაროსლავლის ოლქები, ბაშკირეთის, მარეთის, მორდვეთის, თათრეთის, ჩუვაშეთის ასს რესპუბლიკები, ბელორუსიის სსრ | 15 ნოემბერს | 1 ნოემბერს | 15 სექტემბერს | 1 ნოემბერს | 1 ნოემბერს | 1 ნოემბერს |
| ალტაის, კრასნოიარსკის, პრიმორიეს, ხაბაროვსკის მხარეები, ირკუტსკის, ნოვოსიბირსკის, ომსკის, ჩიტის ოლქები, ბურიატ-მონღოლეთის ასსრ. | 1 ნოემბერს | 15 ოქტომბერს | 1 სექტემბერს | 15 ოქტომბერს | 15 ოქტომბერს | 15 სექტემბერს |
| კრასნოდარის, ორჯონიკიძის მხარეები, როსტოვის, სტალინგრადის ოლქები, დაღისტნის, ყაბარდო-ბალყარეთის, ყალმუხეთის, ყირიმის, ვოლგისპირა გერმანელთა, ჩრდილოეთ-ოსეთის, ჩაჩნეთ-ინგუშეთის ასს რესპუბლიკები, უკრაინის, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, თურქმენეთის, უზბეკეთის, ტაჯიკეთის, ყირგიზეთისა და ყაზახეთის სს რესპუბლიკები | 15 ნოემბერს | 15 ნოემბერს | 1 ოქტომბერს | 15 ნოემბერს | 15 ნოემბერს | 1 ოქტომბერს |

7. ბოსტნეული, რომელსაც კოლმეურნეობანი სახელმწიფოსათვის სავალდებულო მიწოდების ანგარიშში აბარებენ, მიტანილ უნდა იქნას სასადგურო, სანავსადგურო და საქარხნო დამამზადებელ პუნქტებში თვით კოლმეურნეობათა ძალებითა და საშუალებებით. იმ შემთხვევაში, თუ მანძილი კოლმეურნეობიდან დამამზადებელ პუნქტამდე 10 კილომეტრს აღემატება, დამამზადებელი კოლმეურნეობას უხდის ბოსტნეულის მიტანის ღირებულებას 10 კილომეტრზე მეტი მთელი მანძილისათვის იმ განაკვეთების მიხედვით, რომლებიც დაწესებულია სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის მიერ.

8. ბოსტნეული, რომელსაც კოლმეურნეობანი სავალდებულო მიწოდების ანგარიშში აბარებენ, უნდა შეესაბამებოდეს სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებულ კონდიციებს.

9. კოლმეურნეობებს, რომლებიც ბოსტნეულს წესიერად აბარებენ, ბოსტნეულის ჩასაბარებლად მათთვის დაწესებული თვიური ვადების შესაბამისად, სახელმწიფოსათვის ჩაბარების ვალდებულებათა შესრულებასთან ერთად, უფლება აქვთ ბაზარზე გაჰყიდონ ნაჭარბი ბოსტნეული.

კოლმეურნეობებს, რომლებიც წესიერად არ ასრულებენ თვეების მიხედვით ბოსტნეულის ჩაბარების ვალდებულებებს, შემდგომ თვეებში წაერთმევათ იმის უფლება, რომ კერძოდ გაჰყიდონ ეს ბოსტნეული მანამ, ვიდრე ისინი მთლიანად არ შეასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის ჩაბარების საქმეში.

ნება დაერთოს კოლმეურნეობებს შრომადღეების მიხედვით ავანსის წესით მისცენ ბოსტნეული კოლმეურნეებს სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის ამა თუ იმ კულტურის ფაქტიური თვიური ჩაბარების 10 პროცენტის ფარგლებში.

10. სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის ჩაბარების იმ ვალდებულებათა შესრულება, რაც დაწესებულია ამ დადგენილებით, თვითეული კოლმეურნეობის პირველი რიგის მოვალეობას წარმოადგენს და უნდა ხდებოდეს კოლმეურნეობისათვის დაწესებულ ვადებში, ამასთან ვალდებულებათა განზრახ შეუსრულებლობა კანონით დაისჯება.

11. უცილობლად ეკრძალებათ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებსა და დამამზადებელ ორგანოებს კოლმეურნეობათათვის ბოსტნეულის ჩაბარების ისეთ ვალდებულებათა დაკისრება, რომლებიც სავალდებულო ჩაბარების ჰექტარობრივ ნორმებს აღემატება.

სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის ჩაბარების ვალდებულებათა შესრულების შემდეგ დარჩენილი ბოსტნეულის მთელი ნაჭარბი კოლმეურნეობათა სრულ განკარგულებაში რჩება.

**სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე**
**ვ. მოლოტოვი**

**საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი**
**ი. სტალინი**

1940 წლის 9 მაისი.

# ამხ. მ. ი. კალინინი ვიბორგში

**ვიიპური**, (ვიბორგი), 10 მაისი (საკდესის სპეცკორი). დღეს, დილით, სპეციალური მატარებლით ვიიპურში ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. მ. ი. კალინინი.

ვაგზლის პერონზე გამწკრივებულია საპატიო ყარაული. პერონს უახლოვდება მატარებელი. მიხეილ ივანეს-ძე გამოდის ვაგონიდან და იღებს რა საპატიო ყარაულის უფროსის, ორდენოსანი კაპიტნის ამხ. ა. ტ. მაკაროვისაგან პატაკს, მიესალმება წითელარმიელებს. ერთსულოვანი წითელარმიული „ვაშა" გაისმის სრულიად-საკავშირო სტაროსტის მისალმების საპასუხოდ.

ამის შემდეგ ამხ. კალინინი მიესალმა ვიბორგის რკინიგზის კვანძის მეთაურთა და პოლიტმუშაკთა ჯგუფს. მიხეილ ივანეს-ძე ეკითხება რკინიგზელებს იმის შესახებ, თუ როგორ ცხოვრობენ ისინი და როგორ გრძნობენ თავს ახალ სამუშაოზე.

— ჩინებულად! — ერთხმად უპასუხებენ რკინიგზელები.

შემდეგ ამხ. კალინინი ესაუბრა ქალაქის დროებითი მმართველობისა და გარნიზონის სამხედრო მეთაურების წარმომადგენლებს.

# სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა

**ვიიპური**, (ვიბორგი), 10 მაისი (საკდესი). დღეს სამხედრო-საზღვაო ჰიდროგრაფიული სასწავლებლის სააქტო დარბაზში ორდენები და მედლები გადასცეს წითელი არმიის მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს, რომლებიც დაჯილდოებული არიან ფინეთის თეთრგვარდიელობასთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და ვაჟკაცობის გამოჩენისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა ლენინის ორდენი, „ოქროს ვარსკვლავის" მედალი და სიგელი საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების მინიჭების შესახებ გადასცა კაპიტან ვ. კ. ლაპტევს და უმცროს ლეიტენანტს პ. ი. კრილოვს.

„წითელი დროშის" ორდენი გადაეცათ: უმცროს მეთაურს ვ. ე. ბოროვიკოვს, ბრიგადის მეთაურს ა. ვ. გვოზდკოვს, კაპიტანს ზ. მ. გინზბურგს, მაიორს ნ. ვ. იგნატოვს, უმცროს ლეიტენანტს მ. პ. მულენკოვს, კაპიტანს პ. ი. მაკოტრას და სხვ. სულ 12 კაცს.

„წითელი ვარსკვლავის" ორდენს იღებენ: პირველი რანგის სამხედრო ექიმი ფ. ი. ბულდაკოვი, წითელარმიელი ა. ა. ვოვჩენკო, პოლიტხელი ი. ა. ვოლკოვი, უმცროსი მეთაური ს. ი. სკოროხოდოვი და სხვ. სულ 62 კაცი.

მედალს „მამაცობისათვის" იღებს 53 კაცი, მედალს „საბრძოლო დამსახურებისათვის" — 85 კაცი.

დაჯილდოებულთა სახელით სიტყვა წარმოსთქვეს კაპიტანმა სტუდენიკოვმა, უმცროსმა ლეიტენანტმა ვოლკოვმა, პოლიტხელმა კოროტკევიჩმა და სხვებმა, რომელთაც სიტყვა მისცეს პარტიას, მთავრობასა და ამხანაგ სტალინს, რომ წითელი არმიის მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს ღირსებად მიაჩნიათ საბჭოთა ქვეყნის ჩრდილოეთ-დასავლეთი საზღვრების და ლენინის ქალაქის უშიშროების დასაცავად მოცემულ დავალებათა შესრულება. წითელი არმიის მებრძოლები მუდამ მზად არიან პასუხი გასცენ ყოველ მტერს, რომელიც გაბედავს ჩვენი სამშობლოს წმინდა საზღვრების ხელყოფას.

მ. ი. კალინინმა მიულოცა დაჯილდოებულთ მაღალი ჯილდოს მიღება და უსურვა წარმატება შემდგომ მუშაობაში.

# ზუგდიდის რაიონმა თესვის გეგმა შეასრულა

ზუგდიდის რაიონმა საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა ვადაზე ადრე შეასრულა. სიმინდი დათესილია 6.905 ჰექტარზე, გეგმის 100,1 პროცენტი, სოია—950 ჰექტარზე, 101 პროცენტი, არახისი — 600 ჰექტარზე, დავალების 100 პროცენტი.

თესვა გრძელდება.

მტს-მა საგაზაფხულო სამუშაოების გეგმა შეასრულა 121 პროცენტით.

**საქ. კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის მდივანი ზ. ჩაჩიბაია**

**რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. საჯაია**

# ჩაის ფოთლის დამზადება

„საქჩაის" ცნობით, 10 მაისისათვის საქართველოში მოკრეფილი იყო 508,7 ტონა ჩაის ფოთოლი, მაისის გეგმის 4,3 პროცენტი (ცნობები არ წარმოუდგენიათ ხუცუბნის ჩაის ფაბრიკას, — ქობულეთის რაიონი, ნატანებისა და შრომის ჩაის ფაბრიკებს, — მახარაძის რაიონი და უშაფათის ჩაის ფაბრიკას, — ცხაკაიას რაიონი).

10 მაისისათვის წულუკიძის რაიონში დამზადებული იყო 104,1 ტონა ჩაის ფოთოლი (მაისის გეგმის 25,3 პროცენტი), გეგეჭკორის რაიონში—74,1 ტონა (10,7 პროცენტი), გალის რაიონში—62,3 ტონა (6,7 პროცენტი), წალენჯიხის რაიონში — 56,2 ტონა (11,4 პროცენტი), ზუგდიდის რაიონში—40, ჩხოროწყუს—35,5, ხობის—11,3, ტყიბულის—5,4, ქობულეთის — 10,1, ოჩამჩირის—29,3, ჩოხატაურის — 9,1, ლანჩხუთის—17,2, ქუთაისისა და წყალტუბოს რაიონებში—47,1 ტონა და სხვ.

# კომედია „ტყის" დიდი წარმატება

## სპექტაკლს დაესწრნენ ამხანაგები ი. ბ. სტალინი, ვ. მ. მოლოტოვი, ა. ა. ჟდანოვი, ა. ი. მიქოიანი

დედაქალაქში ლენინგრადის თეატრალური და მუსიკალური ხელოვნების ჩვენებამ მიიპყრო საბჭოთა საზოგადოებრიობის უფართოესი წრეების ყურადღება.

თავისი ხელოვნება უწინარეს ყოვლისა გვიჩვენა ერთერთმა უძველესმა რუსულმა თეატრმა — შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულმა ა. ს. პუშკინის სახელობის დრამის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა. მან 10 მაისს მცირე თეატრის სცენაზე დადგა ოსტროვსკის კომედია „ტყე".

სპექტაკლს გულთბილად შეხვდნენ მაყურებელნი, რომლებიც მქუხარე ტაშით მიესალმნენ დადგმის ყველა მონაწილეს.

სპექტაკლს დაესწრნენ ამხანაგები **ი. ბ. სტალინი, ვ. მ. მოლოტოვი, ა. ა. ჟდანოვი, ა. ი. მიქოიანი.**

(საკდესი).

# სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა პირველი ჯგუფის გამგზავრება

გუშინ, 11 მაისს, თბილისიდან მოსკოვს გაემგზავრა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა და ექსკურსანტთა პირველი ჯგუფი 59 კაცის შემადგენლობით.

გამოფენის მონაწილეთა ამ ჯგუფში შედიან თბილისის რაიონის მოწინავე კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, ბრიგადირები, აგრონომები, ზოოტექნიკოსები, სტახანოველი კოლმეურნეები, სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე სხვა სპეციალისტები და პრესის მუშაკები. მათ შორის არიან სოფ. დიღმის **ლენინის** სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე დ. მარიამული, სოფ. გლდანის **ფრუნზეს** სახელობის მილიონერი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ს. ივანიშვილი, სოფ. ნორიოს **სტალინის** სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე კ. დალაქიშვილი, სოფ. ავჭალის **ბერიას** სახელობის კოლმეურნეობის წევრი სტახანოველი-მეაბრეშუმე ეკატერინე თედიაშვილი და სხვ.

გამოფენის მონაწილეთა ჯგუფი და ექსკურსანტები, რომლებიც დაესწრებიან სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნას მოსკოვში, გააცილეს თბილისის რაიონული აღმასკომის მუშაკებმა. გამგზავრების წინ გამოფენაზე გამგზავრებულთა სახელით რამდენიმე სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. დ. მარიამულმა და სოლ. ივანიშვილმა. მათი სიტყვების ტრანსლაცია რესპუბლიკაში მოაწყო საქ. რადიოკომიტეტის „უკანასკნელ ცნობათა" რედაქციამ.

საქართველოდან გამგზავრებულ ჯგუფთან ერთად მოსკოვს გაემგზავრა სომხეთიდან ჩამოსული სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა ჯგუფი 24 კაცის შემადგენლობით.

# ნატახტარი—გორის გზის მშენებლობა

(„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტისაგან)

ამას წინათ მცხეთის, კასპისა და გორის რაიონების კოლმეურნეებმა წინადადება შემოიტანეს, რათა ნატახტარსა და გორს შუა გზის მშენებლობა ფერგანის არხის მშენებლობის მეთოდით წარმართულიყო. გზის მშენებლობას ფერგანის არხის მშენებლობის მეთოდით პირველად შეუდგნენ მცხეთის რაიონის კოლმეურნეები. სამუშაოზე მასობრივად გასვლა მათ 10 მაისისათვის გადასწყვიტეს, მაგრამ უკვე 9 მაისს გზის მშენებლობის ენტუზიასტები დროშებით, ლოზუნგებით, ზურნითა და სიმღერით მოდიოდნენ სხვადასხვა სოფლებიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ სამუშაოდ გამოსულ კოლმეურნეებს მშენებლობის ხელმძღვანელები მოუმზადებლად შეხვდნენ. კერძოდ ნატახტარ-გორის გზის მშენებლობის უფროსმა ინჟინერმა ვასილიევმა, მიუხედავად საქ. კ. პ. (ბ) მცხეთის რაიკომის მდივნის გ. ცხოვრებაშვილისა და სამმართველოს უფროსის მოადგილის გ. რობიტაშვილის რამდენიმე გაფრთხილებისა, სათანადო ყურადღება არ მიაქცია გზის მშენებლობის სამუშაოთა მომზადების საკითხს.

მუშაობის პირველ დღეს გზის მშენებლობაზე 2 ათასამდე კოლმეურნე და 500-მდე ურემი მუშაობდა. მიუხედავად შრომის ცუდი ორგანიზაციისა, კოლმეურნეებმა პირველ დღეს დიდძალი სამუშაო შეასრულეს.

კოლმეურნენი არაჩვეულებრივი ენტუზიაზმით შეუდგნენ მუშაობას. ცალკეულ სასოფლო საბჭოებსა, კოლმეურნეობებსა და ბრიგადებს შორის იდება სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება. მუშახელის რაოდენობა სწრაფად იზრდება.

გზის მშენებლობა წარმატებით მიმდინარეობს.

**თ. ფურცელაძე**

# ციტრუსების რგვის გეგმა შესრულებულია

**ბათუმი**, 11 მაისი („კომუნისტის" კორ.). აჭარის ასსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს ციტრუსების ახალი პლანტაციების გაშენების გეგმა.

11 მაისისათვის ქობულეთისა და ბათუმის რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ციტრუსები, გეგმით გათვალისწინებული 1414 ჰექტარის ნაცვლად, დარგული იყო 1423 ჰექტარზე.

დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ციტრუსების რგვის გეგმა ბათუმის რაიონის კოლმეურნეობებმა. 11 მაისისათვის რაიონის კოლმეურნეობებში ციტრუსები გაშენებულია 426 ჰექტარზე, ანუ გეგმის 112,1 პროცენტი. საბჭოთა მეურნეობებმა ციტრუსების ახალი პლანტაციები გააშენეს 67 ჰექტარზე, გეგმის 108 პროცენტი. მთლიანად კი ბათუმის რაიონს ამ რიცხვისათვის ციტრუსების რგვის გეგმა შესრულებული ჰქონდა 104,3 პროცენტით.

ციტრუსების რგვა გრძელდება.

**კ. დობორჯგინიძე**

## გერმანიის საინფორმაციო ბიუროს ცნობა

**ბერლინი,** 10 მაისი (საკდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, ბელგიის, ჰოლანდიის, საფრანგეთის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი ნაწილის და ინგლისის სამხრეთ - აღმოსავლეთ სანაპიროს თავზე გერმანიის თვითმფრინავების ფრენის დროს ბევრ ადგილას, დღემდე მიღებული ცნობების თანახმად, საზენიტო არტილერიის ძლიერი სროლა იყო.

გერმანიის ავიაციის სარდლობას მიცემული აქვს სასტიკი ბრძანება— არ გადმოჰყაროს ყუმბარები დაუცველ ქალაქებში. გერმანიის ავიაციამ ყუმბარები დაუშინა მხოლოდ სამხედრო ობიექტებს. მაგრამ მოსახლეობის ცნობისმოყვარეობას შედეგად მოჰყვა ის, რომ მტრის საზენიტო არტილერიის ყუმბარების ნამსხვრევებით დაიჭრნენ მშვიდობიანი მოქალაქეებიც. საზენიტო არტილერიის ყუმბარები, რომლებიც არ გამსკდარა, ძირს ვარდებოდა და სახლებს აზიანებდა ქალაქებში. რეიტერის და ჰავასის სააგენტოების ცნობების საწინააღმდეგოდ, გერმანიის ოფიციალური წრეები ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ დაუცველი ქალაქებისათვის ყუმბარები დღემდე არ დაუშენიათ.

○

**ბერლინი,** 10 მაისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს უმაღლესი სარდლობის შემდეგ ცნობას: „გერმანიის ჯარმა დღეს დილით 5 საათსა და 30 წუთზე გადალახა ჰოლანდიის, ბელგიისა და ლუქსემბურგის საზღვრები. სანაპირო რაიონებში მტრის წინააღმდეგობა ყველგან დაძლეულ იქნა ავიაციის დახმარებით. გერმანიის ერთმა წყალქვეშა ნავმა ჩასძირა ინგლისის წყალქვეშა ნავი. გერმანიის სამხედრო გემმა ტორპედი ესროლა და ჩრდილოეთის ზღვაში ჩასძირა მტრის ერთი საესკადრო ნაღმოსანი".

## ჰოლანდიის მთავრობის ოფიციალური კომუნიკე

**ნიუ-იორკი,** 10 მაისი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ამსტერდამში გამოქვეყნებულია შემდეგი ოფიციალური განცხადება: „სამ საათზე გერმანიის ჯარმა გადალახა ჰოლანდიის საზღვარი. გერმანიის თვითმფრინავები შეეცადნენ იერიში მიეტანათ აეროდრომებზე. არმიის საზენიტო ბატარეიები ამოქმედდნენ რამდენადაც გამორკვეულია, ჩამოგდებულია გერმანიის ექვსი თვითმფრინავი".

**ლონდონი,** 10 მაისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ჰოლანდიის არმიის უმაღლესი სარდლობის მეორე კომუნიკეში ნათქვამია, რომ ჰოლანდიელებმა გერმანიის 70-მდე თვითმფრინავი ჩამოაგდეს. ჰოლანდიის ჯარი მედგარ წინააღმდეგობას უწევს მტერს" მდინარე ეისელზე და მესზე (მაასზე). ჰოლანდიის ჯარმა წარმატებითი იერიში მიიტანა გერმანიის 4 ჯავშნოსანი მატარებლის წინააღმდეგ. ერთერთი მათგანი აფეთქებულია ფენლოს მახლობლად.

## რეიტერი სააგენტო ბელგიაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ

**ლონდონი,** 10 მაისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ბელგიის ჯარი ზომებს იღებს გერმანელ პარაშუტისტთა მცირე ჯგუფების წინააღმდეგ, რომლებიც ბელგიის ტერიტორიაზე დაეშვნენ. ბელგიაზე საჰაერო თავდასხმაში მონაწილეობას იღებდა გერმანიის თვითმფრინავთა მრავალი ესკადრილია. ჩამოგდებულია გერმანიის რამდენიმე თვითმფრინავი. გერმანიის თვითმფრინავთა თავდასხმით მოსახლეობაში გამოწვეული უბედური შემთხვევა უმნიშვნელოა.

## ამერიკის ცნობები ჰოლანდიაში საომარი მოქმედების შესახებ

**ნიუ-იორკი,** 10 მაისი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ლონდონელი კორესპონდენტის ცნობით, კარგად ინფორმირებული პირები გადმოგვცემენ, რომ ფრიზის კუნძულებს, რომლებიც ჰოლანდიას ეკუთვნის, ყუმბარები დაუშინეს. ამ კუნძულებზე გერმანიის საპარაშუტო დესანტები დაეშვნენ.

იუნაიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, რომ დღეს დილით ჰააგაზე ორი საჰაერო თავდასხმა მოხდა. ერთდროულად იუწყებიან, რომ გერმანიის ჯარმა მიაღწია არნჰემს, რომელიც 12.5 მილის მანძილზე მდებარეობს ჰოლანდიის საზღვრიდან.

○

**ნიუ-იორკი,** 10 მაისი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ჰოლანდიის არმიის სარდლობამ გამოაცხადა, რომ მდინარე მაასისა და ეისელის ხიდები დანგრეულია. ყველგან სწარმოებს გერმანელი პარაშუტისტების ძებნა.

## ინგლისის მთავრობის განცხადება

**ლონდონი,** 10 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს ინგლისის მთავრობის განცხადებას, რომელშიაც ნათქვამია, რომ „ინგლისის და საფრანგეთის მთავრობები დაუყოვნებლივ იღებენ ზომებს, რათა მათს განკარგულებაში არსებული ყოველგვარი საშუალებით გაუწიონ დახმარება ჰოლანდიასა და ბელგიას". განცხადებაში აღიარებულია, რომ „გერმანიამ ინიციატივის გამოჩენით ერთხელ კიდევ მოიპოვა სამხედრო უპირატესობა". შემდეგ ინგლისის მთავრობა გადაჭრით უარჰყოფს გერმანიის მტკიცებას იმის შესახებ, რომ ჰოლანდია და ბელგია ნეიტრალიტეტს არ იცავდნენ.

## ჰოლანდიის მინისტრის ჩასვლა ლონდონში

**ლონდონი,** 10 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ დღეს თვითმფრინავით ინგლისში ჩავიდნენ ჰოლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრი ვან-კლიფენსი და კოლონიების მინისტრი ველტერი. ორივე მიემგზავრებიან ლონდონს, და ფიქრობენ აქ შეხვდნენ საგარეო საქმეთა მინისტრს ჰალიფაქსს.

## გერმანიის ავიაციის მოქმედება ჰოლანდიაში

**ნიუ-იორკი,** 10 მაისი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს გადმოცემით, გერმანიის საჰაერო თავდასხმის შედეგად როტერდამში მოსპობილია თვითმფრინავთა დასაშვები მოედნები და ანგარები. გერმანიის ჯარმა დაიკავა ვაალჰავენის აეროპორტი.

## იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობა

**ნიუ-იორკი,** 10 მაისი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს პარიზელი კორესპონდენტი იუწყება, გერმანიის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს პონტუაზს, პარიზიდან 42 მილის მანძილზე.

○

**ნიუ-იორკი,** 10 მაისი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის პარიზელი კორესპონდენტი იუწყება, პარიზში საჰაერო განგაში გამოცხადდა.

## გერმანიის თვითმფრინავები პარიზის თავზე

**ლონდონი,** 10 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ დღეს პარიზის თავზე დაფრინავდნენ გერმანიის თვითმფრინავები, რომლებსაც ინტენსიური სროლა აუტეხეს საფრანგეთის საზენიტო ბატარიებმა. ყუმბარების ნამსხვრევებმა რამდენიმე კაცი დააშავა.

თვითმფრინავებს არცერთი ყუმბარა არ გადმოუგდიათ. გერმანიის თვითმფრინავების საჰაერო ბომბარდირების დროს ნანსში მოკლულია 16 და დაჭრილია 30 კაცი.

## კალესა და დიუნკერკის ბომბარდირება

**ნიუ-იორკი,** 10 მაისი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ამერიკის ელჩმა საფრანგეთში ბულიტმა პარიზიდან ტელეფონით გვაცნობა, რომ გერმანელებმა ყუმბარები დაუშინეს საფრანგეთის ნავსადგურებს — კალესა და დიუნკერკსო.

## ლუქსემბურგის მთავრობა ბელგიაში ჩავიდა

**ნიუ-იორკი,** 10 მაისი (საკდესი), იუნაიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ლუქსემბურგის მთავრობა ბელგიაში გაემგზავრა და თან წაიღო არქივები და ოქროს მარაგი.

## ჰოლანდიის სტრატეგიულ რაიონებს წყალი მიუშვეს

**ნიუ-იორკი,** 10 მაისი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ჰოლანდიის სამხედრო ხელისუფლებამ წყალი მიუშვა ჰოლანდიის სტრატეგიულ რაიონებს.

## ინგლისის სამხედრო კაბინეტის მეორე სხდომა

**ლონდონი,** 10 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ დღეს დილის 11 საათზე შესდგა ინგლისის სამხედრო კაბინეტის მეორე სხდომა შტაბის უფროსებთან ერთად.

## ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

**ლონდონი,** 10 მაისი (საკდესი). ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა შემდეგი განცხადება: „ინგლისის მთავრობამ, უპასუხა რა შეერთებული შტატების პრეზიდენტის მიმართვას, 1 სექტემბერს განუცხადა მას, რომ ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალებს, მიცემული ბრძანების თანახმად, აკრძალული აქვთ სამოქალაქო მოსახლეობისათვის ყუმბარების დაშენა; ისინი უნდა დაკმაყოფილდნენ წმინდა სამხედრო ხასიათის ობიექტების ბომბარდირებით. ახლა ინგლისის მთავრობა ყველას გასაგონად აცხადებს, რომ იგი უფლებას იტოვებს მიჰმართოს ყოველგვარ მოქმედებას, რაც, მისი აზრით, შეესაბამება მტრის მოქმედებას ინგლისის, საფრანგეთის ან იმ ქვეყნების სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ, რომლებსაც ინგლისი დახმარებას უწევს.

## გიბრალტარის დახურვა

**ნიუ-იორკი,** 10 მაისი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, არგენტინის რადიომ დაიჭირა მადრიდის რადიოს გადაცემა იმის შესახებ, რომ ინგლისელებმა დახურეს გიბრალტარის სრუტე.

○

**ნიუ-იორკი,** 10 მაისი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ინგლისის სამხედრო-საზღვაო წრეებმა უარი სთქვეს იმაზე, რომ დაედასტურებინათ ან უარეყოთ ცნობა გიბრალტარის სრუტის დახურვის შესახებ.

## ჰიტლერის მიმართვა დასავლეთის ფრონტის ჯარისკაცებისადმი

**ბერლინი,** 10 მაისი (საკდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, ჰიტლერმა დასავლეთის ფრონტის ჯარისკაცებს მიჰმართა მოწოდებით, რომელშიაც აღნიშნავს, რომ დასავლეთის ფრონტზე დაწყებული ბრძოლა სწყვეტს გერმანიის ბედს, და მოუწოდებს ჯარისკაცებს შეასრულონ თავიანთი მოვალეობა.

## გერმანია უარჰყოფს

**ბერლინი,** 10 მაისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო უარჰყოფს ჰოლანდიის სარდლობის ცნობას იმის შესახებ, თითქოს დღეს ჩამოგდებული იყო გერმანიის 70-მდე თვითმფრინავი. სააგენტო უარჰყოფს აგრეთვე რეიტერისა და ჰავასის სააგენტოების ცნობებს, რომლებშიც აღნიშნული იყო, რომ ბელგიის, ჰოლანდიის, საფრანგეთისა და ინგლისის ტერიტორიებზე ჩამოაგდეს ზოგიერთ ადგილას გერმანიის სამი, ექვსი და კიდევ მეტი თვითმფრინავი. ყველა ეს ცნობა ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

გერმანიის ოფიციალური წრეები გადმოგვცემენ, რომ გერმანიის ესკადრილიებს გამანადგურებელი ავიაციისა და საზენიტო არტილერიის ძლიერი ცეცხლით შეხვდნენ ფრონტის სხვადასხვა უბნებზე და რომ საჰაერო ბრძოლაში ჩამოგდებული ან მიწაზე განადგურებული იყო მტრის ასამდე თვითმფრინავი. გერმანიის შვიდი თვითმფრინავი უკვალოდ დაიკარგა, ორი სხვა თვითმფრინავი იძულებით დაეშვა ძირს.

○

**ბერლინი,** 10 მაისი (საკდესი). როგორც ტრანსოცეანის სააგენტო გადმოგვცემს, ბერლინის კომპეტენტური წრეები აცხადებენ, რომ ის ცნობები, რომელსაც ავრცელებენ უცხოეთის პრესაში, თითქოს გერმანიის საპარაშუტო ჯარს ჰოლანდიის სამხედრო ფორმა აცვია, არ შეეფერება სინამდვილეს. ეს წრეები აღნიშნავენ, რომ გერმანიის პარაშუტისტები რეგულარულ ჯარებს წარმოადგენენ, როგორც გერმანიის არმიის სხვა ნაწილები და აცვიათ თავისი საკუთარი ფორმა, რომელიც იარაღის ამ გვარეობას შეეფერება.

## საომარი მოქმედება ჰოლანდიასა და ბელგიაში

**ლონდონი,** 11 მაისი (საკდესი). სამხედრო სამინისტროს ცნობით, ინგლისის ჯარის მოწინავე ნაწილები გუშინ შევიდნენ ბელგიის ტერიტორიაზე. ინგლისის ავტორიტეტული წრეები უარჰყოფენ გერმანელთა მტკიცებას იმის შესახებ, რომ გერმანელებმა ბელგიის 5 აეროდრომი დაიკავეს. გუშინ საზენიტო ბატარეებმა, აგრეთვე ბელგიის ავიაციამ ჩამოაგდეს გერმანიის 8-დან 10-მდე თვითმფრინავი.

**პარიზი,** 11 მაისი (საკდესი). გუშინ საღამოს პარიზში შემდეგი კომუნიკე გამოქვეყნდა: „ჰოლანდიის, ბელგიისა და ლუქსემბურგის წინააღმდეგ გერმანიის ჯარის გამოსვლა მომზადებულ იქნა დიდი საჰაერო იერიშით 10 მაისს დილით. ბელგიისა და ჰოლანდიის ტერიტორიების სხვადასხვა პუნქტში თვითმფრინავებით ანდა პარაშუტების დახმარებით გადმოსხდნენ მოწინააღმდეგის მრავალრიცხოვანი რაზმები. ადგილობრივმა ჯარებმა ყველგან წარმატებით გაუწიეს წინააღმდეგობა. მოწინააღმდეგის საჰაერო იერიში საფრანგეთის ტერიტორიაზე, რაც ნაშუაღამევს დაიწყო, მთელი დღის განმავლობაში გრძელდებოდა. საფრანგეთის ტერიტორიაზე ჩამოგდებულია გერმანიის 44 თვითმფრინავი. მას შემდეგ, რაც ჰოლანდიის, ბელგიისა და ლუქსემბურგის მთავრობებმა მოკავშირეებს დახმარებისათვის მიჰმართეს, ინგლის-საფრანგეთის ჯარებმა გაილაშქრეს მთელ ფრონტზე, ჩრდილოეთის ზღვიდან მოზელამდე, და განაგრძობენ წინსვლას ბელგიის ტერიტორიით. ლუქსემბურგის ტერიტორიაზე გააფთრებული ბრძოლა სწარმოებს. გერმანელებს იერიშები მოაქვთ პოზიციებზე თვით ზირკის რაიონამდე, მოზელის აღმოსავლეთით".

**ლონდონი,** 11 მაისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, გუშინ ღამით და დღეს ჰოლანდიის ჯარი მოწინავე პოზიციების იქით ბრძოლას აწარმოებდა გერმანელ პარაშუტისტებთან. პარაშუტისტებს დაეძებენ აგრეთვე პოლიცია და მოხალისე მოქალაქენი, რომლებიც შეიარაღებული არიან შაშხანებითა და რევოლვერებით.

ჰოლანდიის ჯარმა თავის დროზე ააფეთქა ჰოლანდიის უდიდეს მდინარეებზე ყველა სარკინიგზო ხიდი, გარდა მდინარე ეისელის ერთი ხიდისა, რომელიც ფოორფელდის მახლობლად არის. გერმანიის ჯარი მდინარე ეისელზე ამ ხიდით გადავიდა.

უცხოელი მეთვალყურენი ფიქრობენ, რომ გერმანიის ჯარს ჰოლანდიის ტერიტორიის არც ერთ პუნქტში 20 კილომეტრზე უფრო შორს არ წაუწევია წინ.

**ლონდონი,** 11 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ, ჰოლანდიის არმიის უმაღლესი სარდლობის მიერ გუშინ საღამოს გამოქვეყნებული კომუნიკეს თანახმად, ჰოლანდიის ჯარი, გერმანელთა გააფთრებული იერიშების მიუხედავად, ინარჩუნებდა თავის პოზიციებს დელფზეილის რაიონში, აგრეთვე მდინარეების — ეისელისა და მაასის გასწვრივ. დღემდე ჩამოგდებულია გერმანიის 100 თვითმფრინავი მაინც. აფეთქებულია გერმანიის 4 ჯავშნიანი მატარებელი. გერმანიის რამდენიმე ასეულმა თვითმფრინავმა გადმოსხა ჯარი ჰოლანდიის სანაპიროზე, რათა იერიში მიეტანა ჰააგაზე. იერიში მოგერიებულ იქნა, ამასთან გერმანელებს დიდი ზარალი მოუვიდათ.

**ლონდონი,** 11 მაისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ბელგიის დღევანდელ კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ბელგიის არმია შეხვდა მოწინააღმდეგეს. კომუნიკეში აგრეთვე ნათქვამია, რომ გუშინ სწარმოებდა ბრძოლა ალბერტის არხზე, მდინარე მაასზე, არდენებში.

**ლონდონი,** 11 მაისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, საფრანგეთში მყოფ ინგლისის ჯარის სარდლობამ გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ გერმანელები ცდილობენ ხელი შეუშალონ მოკავშირეთა ჯარების წინსწევას ბელგიის საზღვრის მიმართულებით და ტყვიამფრქვევებს უშენენ გზებსა და კომუნიკაციებს. შუაღამიდან გერმანიის ავიაციამ 8 თავდასხმა მოახდინა. მოკავშირეთა თვითმფრინავები და საზენიტო არტილერია ენერგიულად უპასუხებენ.

## საომარი მოქმედება დასავლეთში

**ბერლინი,** 10 მაისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს: „10 მაისს დილით გერმანიის ავიაციამ ყველა ტიპის თვითმფრინავების შემადგენლობით დაიწყო მოქმედება დასავლეთში და გერმანიის ავიაციის მთელი რიგი შენაერთები გადასხა ბელგიისა და ჰოლანდიის აეროდრომებზე. აეროდრომები და მათი მიდამოები ხელთ იგდო გერმანიის ავიაციამ. გერმანიის ავიაციამ ყუმბარები დაუშინა აღმოსავლეთ და შიდა საფრანგეთის აეროდრომებს. ბომბარდირებით განადგურებულია მრავალი თვითმფრინავი და აეროდრომი. გაჩნდა დიდი ხანძრები. სენტ-ომერის, ვიტრილე-ფრანსუას და მეცის აეროდრომები დანგრეულია.

მას შემდეგ, რაც ბელგიის მთავრობამ ბელგიაში მოუწოდა ინგლისისა და საფრანგეთის ჯარებს, ხოლო ჰოლანდიის მთავრობამ განაცხადა, რომ ჰოლანდიასა და გერმანიას შორის საომარი მდგომარეობაა, გერმანიის ავიაციამ თავისი საჰაერო თავდასხმები ბელგიისა და ჰოლანდიის სამხედრო ობიექტებზეც გაავრცელა.

გერმანიის ავიაციამ წარმატებით დაუშინა ყუმბარები აეროდრომებს ანტვერპენსა და ბრიუსელში. ავიაციის შენაერთები გერმანიის არმიის მოქმედებას ეხმარებოდნენ და დიდი როლი შეასრულეს ბელგიის ერთი ფორტის დაკავებისას. ამ ოპერაციაში განსაკუთრებით თავი გამოიჩინა კაპიტანმა კოხმა და უფროსმა ლეიტენანტმა ვიციგმა. ჰიტლერმა დააჯილდოვა ეს ოფიცრები „რკინის ჯვრის" ორდენებით.

**ბერლინი,** 10 მაისი (საკდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, დღეს, გერმანიის ჯარმა მიაღწია მდინარე ეისელს და გადალახა მდინარე მაასი ჰოლანდიის ტერიტორიაზე მრავალ პუნქტში. ქალაქი მაასტრიხტი და ალბერტის არხის ხიდები, მაასტრიხტის დასავლეთით, გერმანელთა ხელშია. გერმანელთა ჯარის ნაწილებმა დაიკავეს აგრეთვე მალმედი. გერმანიის ჯარი, რომელიც ცოტა უფრო სამხრეთით მოქმედებს, ბელგიის ტერიტორიაზე ლუქსემბურგით შევიდა.

## ჩემბერლენის გადადგომა

**ლონდონი,** 10 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ჩემბერლენი გადადგა. ინგლისის მთავრობის ახალ პრემიერ-მინისტრად დანიშნულია უინტონ ჩერჩილი.

## გერმანიის მთავრობის მემორანდუმი ლუქსემბურგისადმი

**ბერლინი,** 10 მაისი (საკდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, გერმანიის მთავრობამ მემორანდუმით მიჰმართა ლუქსემბურგის მთავრობას.

„შეტევა, — ნათქვამია ამ მემორანდუმში, — რომლის დაწყებაც გადაწყვეტილი ჰქონდათ საფრანგეთსა და ინგლისს ბელგიასთან და ჰოლანდიასთან შეთანხმებით, ლუქსემბურგის ტერიტორიაზე უნდა გავრცელებულიყო. ამიტომ გერმანიის მთავრობა იძულებულია თავისი საომარი მოქმედება ლუქსემბურგის ტერიტორიაზე გაავრცელოს, რათა მოიგერიოს მოკავშირეთა შემოტევა".

მემორანდუმში აღნიშნულია, რომ „გერმანიას განზრახვა არა აქვს არც ახლა, არც მომავალში თავისი ღონისძიებებით ზიანი მიაყენოს ლუქსემბურგის ტერიტორიის მთლიანობას და მის პოლიტიკურ დამოუკიდებლობას".

## შვეიცარიის ბომბარდირება

**ნიუ-იორკი,** 11 მაისი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ბაზელელი კორესპონდენტი იუწყება, რომ 10 მაისს შვეიცარიას 27 ყუმბარა დააყარეს. ყუმბარებმა დაანგრია დელომონის რკინიგზის ლიანდაგი. ბაზელის რკინიგზის სადგური დახურულია. გერმანიასა და შვეიცარიას შორის მიმოსვლა შეწყვეტილია.

## ჰიტლერმა მიიღო ატოლიკო

**ბერლინი,** 10 მაისი (საკდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, ჰიტლერმა დღეს მიიღო იტალიის ელჩი ატოლიკო, რომელიც სტოვებს ბერლინს.

## ნაწილობრივი მობილიზაცია ესპანეთში

**ნიუ-იორკი,** 10 მაისი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ესპანეთში გაწვეული არიან ექვსი კლასის საზღვაო რეზერვისტები 24-30 წლის ასაკისა.

## ლეიბორისტული პარტიის აღმასკომის გადაწყვეტილება

**ლონდონი,** 10 მაისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ლეიბორისტული პარტიის აღმასკომმა დღეს ბორნმუტში გამართულ სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება, რომ ლეიბორისტებმა მონაწილეობა მიიღონ ახალ მთავრობაში, რომლის მეთაური იქნება ახალი პრემიერ-მინისტრი. ამ გადაწყვეტილების მიღებისთანავე ეტლი და გრინვუდი ლონდონს დაბრუნდნენ და დაუნინგ-სტრიტს (ინგლისის მთავრობის რეზიდენცია) ეწვივნენ.

# პარტიული ცხოვრება

## გულმოდგინეთ ვიმუშაოთ კადრების დასაწინაურებელ რეზერვთან

თავის ისტორიულ მოხსენებაში საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე ამხანაგმა **სტალინმა** კადრების შერჩევის დარგში ასეთი ამოცანა დასახა: „კადრების სწორად შერჩევა ნიშნავს: ჯერ-ერთი, აფასებდე კადრებს, როგორც პარტიისა და სახელმწიფოს ოქროს ფონდს, უფრთხილდებოდე მათ, პატივისცემით ეპყრობოდე მათ.

მეორეც, იცნობდე კადრებს, გულდასმით სწავლობდე კადრის თვითეული მუშაკის ღირსებასა და ნაკლს, იცოდე თუ რა თანამდებობაზე შეიძლება ყველაზე უფრო ადვილად გაიშალოს მუშაკის ნიჭი.

მესამეც, მზრუნველობით ზრდიდე კადრებს, ეხმარებოდე თვითეულ მზარდ მუშაკს ამაღლდეს, არ იშურებდე დროს იმისათვის, რომ მოთმინებით „სდიო" ასეთ მუშაკებს და დააჩქარო მათი ზრდა".

ამასწინათ კიროვის რაიონის პარტბიუროს მდივნებისა და პარტორგების თათბირზე განიხილეს თბილისის XVIII საქალაქო პარტკონფერენციის მითითება დასაწინაურებელი კადრების რეზერვის შექმნის შესახებ, რის შედეგად საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომმა დასახა ღონისძიებები დასაწინაურებელ კადრების რეზერვთან მუშაობის შესახებ.

რაიკომის მუშაკებმა პრაქტიკულად მოჰკიდეს ხელი ამ საქმეს, დაამყარეს ცოცხალი კავშირი პირველადს პარტორგანიზაციებთან, დარაზმეს პარტბიუროს მდივნები და პარტორგები ამ საპატიო ამოცანის შესასრულებლად.

რაიკომთან უკვე შექმნეს 37 კაცისაგან შემდგარი კადრების რეზერვი. რაიკომის კადრების განყოფილებამ ჩაატარა მათთან საუბრები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იმუშაონ მათ. და რა ამოცანები დგას რეზერვის წინაშე. ამ რეზერვში არიან პარტიის რიგითი წევრები და არაპარტიული ბოლშევიკები, ისეთები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს სხვადასხვა პრაქტიკულ სამუშაოზე.

დასაწინაურებელ რეზერვში არიან ამხანაგები ფარნაოზ მაისურაძე — პარტწევრობის კანდიდატი, უმაღლესი განათლების მქონე, მიხეილ სამოხვალოვი — საკ. კ. პ. (ბ) წევრი, ზეინკალი, კამოს სახელობის ქარხნის საამწყობო საამქროს ოსტატი, მიხეილ კახეთელიძე (სახალხო აღრიცხვის სამმართველოს ინსტრუქტორი), რიმა გიორგაძე (ეკონომისტი ქალი), რ. ოვანესოვი (26 კომისრის სახელობის არტელის კულტპოლიტსაბჭოს თავმჯდომარე) და მრავალი სხვა.

ეს ამხანაგები რაიკომის ინსტრუქტორებმა წინასწარ შეისწავლეს, გამოარკვიეს ვის რა უნარი შესწევს და ვინ როგორ მუშაობდა ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების პერიოდში. ახლა ისინი ჩაბმული არიან პრაქტიკულ მუშაობაში. რეზერვის დახმარებით მზადდება სხვადასხვა საკითხები, რომლებსაც შემდეგ იხილავს რაიკომის ბიურო.

მოგვყავს იმის ერთი მაგალითი, თუ როგორ გამოიყენა რეზერვი საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომმა.

ამჟამად რაიკომი ატარებს ტექსწავლების შემოწმებას რაიონის საწარმოებში. ამ საქმეში ჩაბმული არიან რაიკომის ინსტრუქტორები და ის ამხანაგები, რომლებიც დასაწინაურებელთა რეზერვში იმყოფებიან.

კარგად არის დაყენებული კადრების დასაწინაურებელ რეზერვთან მუშაობა მეორე სამკერვალო ფაბრიკაში (პარტბიუროს მდივანი გ. ფირუმოვა). რაიკომის მდივანმა ამხ. დ. ხანთაძემ მათთან ჩაატარა საუბარი, თუ როგორ უნდა შეისწავლონ და იმუშაონ დასაწინაურებელ რეზერვთან. ამან ნაყოფიერი შედეგი გამოიღო. გამოსინჯვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ იყვნენ ისეთი ამხანაგები, რომელთა დაწინაურებაც თამამად შეიძლებოდა. ბევრი კიდეც დააწინაურეს. მაგალითად, მკერავი ქალი ამხ. თ. სიხარულიძე, რომელიც მუშაობდა კაცის ტანსაცმელის აგრეგატის ინსტრუქტორის მოადგილედ, დაწინაურებულია საამქროს ინსტრუქტორად. ნ. სხირტლაძე—ქალის პალტოების საამქროში მკერავად მუშაობდა. გეგმას სისტემატურად 200 პროცენტით ასრულებდა, დაინტერესებული იყო საქმით. იგი დააწინაურეს საამქროს ინსტრუქტორის თანაშემწედ.

აღსანიშნავია ის მდგომარეობა, რომ რაიკომის ინსტრუქტორი ამხ. ა. ლუგაროვი არასაკმარისად ეხმარება ფაბრიკის პარტორგანიზაციას.

საგალანტერიო ფაბრიკა „კომსომოლკაში", სადაც მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი 300 კაცს აღემატება (პარტბიუროს მდივანი ამხ. მ. ხურცია) დასაწინაურებელთა რეზერვი მხოლოდ 5 კაცისაგან შესდგება. ეს იმას ნიშნავს, რომ პარტბიუროს მდივანს არ უნდა თავი შეეწუხოს და ღრმად შეესწავლოს თვითეული მუშაკი.

რაიკომმა კარგად დაიწყო მუშაობა, მაგრამ ნაკლოვანებებს რეზერვთან მუშაობის საქმეში ჯერ კიდევ აქვს ადგილი, რაც უნდა გამოასწოროს უახლოეს ხანში.

**ელ. ჩიტიშვილი.**

## საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

**საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1940 წლის 8 იანვრის გადაწყვეტილებით საკ კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხული არიან:**

1. ოლღა ისააკის-ასული **სინგეროვა** — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1932 წლიდან, პარტბილეთი № 2849181—როგორც უცხოეთის ქვეშევრდომი.
2. ნიკოლოზ მიხეილის-ძე **მესტვირიშვილი** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1262480—ქურდობისათვის.
3. მიხეილ ბესარიონის-ძე **შანიძე** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წ. (ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პარტორგანიზაციიდან) — ყალბი დოკუმენტების შედგენისათვის.
4. სერგო ფედოტის-ძე **გიორგაძე** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1931 წლიდან (ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პარტორგანიზაციიდან) — იმისათვის, რომ პარტიაში შესვლისას დაიფარა, რომ 1927 წელს სამართალში იყო მიცემული კონტრრევოლუციური მუშაობისათვის.
5 ანა სერგის-ასული **ოვანოვა** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1684078 — სიყალბის ჩადენისათვის.
6. გიორგი იაგორის-ძე **პაპოშვილი** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 0929236—1718 მანეთის მითვისებისათვის.
7. ლეონიდ მიხეილის-ძე **კოკოევი** — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1925 წლიდან, პარტბილეთი № 2843699—იმისათვის, რომ დაჰფარა, რომ ეკუთვნოდა მენშევიკურ პარტიას.
8. გიორგი მაქსიმეს-ძე **ჟიჟაევი** — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1919 წლიდან, პარტბილეთი № 151114—საკოლმეურნეო სახსრების გაფლანგვისათვის.
9. ლევან მიხეილის-ძე **სისოევი** — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1931 წლიდან, პარტბილეთი № 1538260 — სპეკულანტებთან კავშირისათვის.
10. ილია ალექსანდრეს-ძე **მარკოზია** — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1918 წლიდან, პარტბილეთი № 2848811—დატაცებისა და სპეკულაციისათვის.
11. გრიგოლ კონსტანტინეს-ძე **ჩუმაკოვი** — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1928 წლიდან, პარტბილეთი № 1530370 — სახელმწიფო ქონების დატაცებისათვის.
12. ტერენტი ივანეს-ძე **სიჭინავა** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1260747—როგორც 1924 წლის მენშევიკური ავანტიურის მონაწილე.

## გაიგზავნა 49 ვაგონი ექსპონატი

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ექსპონატების გაგზავნა საქართველოდან ძირითადად უკვე დამთავრდა. საქართველოს კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და სხვა ორგანიზაციებმა გამოფენაზე გაგზავნეს ციტრუსების, ხეხილის, ბამბუკის, ევკალიპტის და სხვა ძვირფას მცენარეთა სანიმუშო ხეები, აგრეთვე 117.000 ცალი მანდარინის, ლიმონისა და ფორთოხლის ნაყოფი, ჩაის მზა პროდუქციის ნიმუშები, ატმის, ლეღვის, ქლიავის და სუბტროპიკული ხურმის ჩირი, 7,5 ტონა მხალი და ვაშლი, 4 ტონა წაბლი, თხილი, კაკალი, ნუში, ზეთის ხილი, შაქრის ჭარხალი, სხვადასხვა სახის ბოსტნეული, ეთეროვანი ზეთები, ტყის ჯიშთა ნიმუშები, კონსერვები, მეცხოველეობის პროდუქტები, დარგობრივი პავილიონებისათვის პირუტყვის საუკეთესო ეგზემპლარები და სხვ.

გარდა იმ ექსპონატებისა, რომლებიც საქართველოს პავილიონში შარშან იყო გაგზავნილი, წელს გამოფენაზე დამატებით 49 ვაგონი ექსპონატი გაიგზავნა. ექსპონატთა შორის ბევრია ისეთი, რომელთა სახეობა შარშან არ ყოფილა ნაჩვენები გამოფენაზე.

## გეგმები შესრულებულია

**წყალტუბო.** 11 მაისი. წყალტუბოს რაიონმა 9 მაისს შეასრულა საგაზაფხულო თესვის გეგმა. დათესილია 8.765 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8.754 ჰექტარისა. სუბტროპიკული კულტურები უნდა გაშენებულიყო 130 ჰექტარზე, ფაქტიურად გაშენებულია 141 ჰექტარზე.

თესვა გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) წყალტუბოს
რაიკომის მდივანი **ტოგონიძე**

რაისაბჭოს აღმასკომის
თავმჯდომარე **ნიჟარაძე**

# უკანასკნელი ცნობები

## გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის ცნობა

**ბერლინი,** 11 მაისი (საკდესი). გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობა იუწყება, რომ გერმანიის დასავლეთის არმიამ ჰოლანდიის, ბელგიისა და ლუქსემბურგის საზღვრების გადასვლის შემდეგ, ყველგან უკუაქცია ჰოლანდიისა და ბელგიის საზღვრისპირა ჯარები და სწრაფად ანვითარებს შეტევას. ამ ქვეყნების მთელ რიგ პუნქტებში თვითმფრინავებიდან გადასხმულია დესანტები და დაშვებულია პარაშუტისტთა რაზმები.

გერმანიის საჰაერო ძალებმა, რომლებმაც ომის დაწყებიდან პირველი მასობრივი თავდასხმა მოახდინეს მტრის ავიაბაზებზე საფრანგეთსა, ბელგიასა და ჰოლანდიაში, ყუმბარები დაუშინეს 72 აეროდრომს. მოსპობილია 300-დან 400-მდე თვითმფრინავი, აგრეთვე მრავალი აეროდრომი და ანგარი. საფრანგეთის თითქმის ყველა საავიაციო ბაზა მეცსა, ნანსსა, რეიმსსა, რომილიასა, დიჟონსა და ლიონში სერიოზულად დაზიანებულია. საჰაერო ბრძოლის დროს ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 23 თვითმფრინავი. ჩამოგდებულ იქნა გერმანიის თერთმეტი თვითმფრინავი, ხოლო 15 თვითმფრინავი თავის ბაზებში არ დაბრუნებულა.

კალესა და დიუნკერკს შორის ჩაძირულია მტრის ორი გემი. გერმანიის წყალქვეშა ნავმა ჩასძირა მტრის წყალქვეშა ნავი. გერმანიის სატორპედო კატარღამ ჩასძირა მტრის საესკადრო ნაღმოსანი.

ნორვეგიაში ცვლილება არ მომხდარა. ნარვიკის რაიონში გერმანიის თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს ინგლისის სამხედრო გემებზე. ინგლისის სახაზო გემი და კრეისერი დაზიანებულ იქნა.

## ინგლისის ავიაციის სამინისტროს კომუნიკე

**ლონდონი,** 11 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტომ რადიოთი გადასცა ინგლისის ავიაციის სამინისტროს კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ ინგლისის ყუმბარმშენმა ავიაციამ ნაშუადღევს იერიში მიიტანა გერმანიის ჯარზე, რომელიც გუშინ პარაშუტებით როტერდამის აეროდრომზე და ჰააგის მახლობლად სანაპიროზე გადმოსხდა, და მოსპო იგი. ამ ოპერაციაში მონაწილეობას იღებდნენ ინგლისის ავიაციის დიდი შენაერთები. ინგლისის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს როტერდამის აეროდრომზე მყოფ გერმანიის თვითმფრინავებს, რომელთა შორის იყო 50 სატრანსპორტო თვითმფრინავი. შემჩნეულ იქნა, რომ მრავალი ყუმბარა პირდაპირ მოხვდა მიზანს. მალე აეროდრომზე კვამლის სქელი ღრუბლები გაჩნდა. ერთერთი იერიშის დროს მოსპობილ იქნა გერმანიის 4 თვითმფრინავი. ბომბარდირების შედეგად აეროდრომზე ბევრგან ხანძარი გაჩნდა.

ინგლისის ყუმბარმშენი და გამანადგურებელი ავიაცია გუშინ თავს დაესხა აგრეთვე გერმანიის სატრანსპორტო თვითმფრინავებს, რომლებიდანაც ჰოლანდიის სანაპიროზე, ჰააგის ჩრდილოეთით 12 კილომეტრის მანძილზე, ჯარი გადმოჰყავდათ. გერმანიის ერთ თვითმფრინავს ცეცხლი გაუჩნდა და აფეთქდა. როცა ინგლისის ავიაცია თავის ბაზაში ბრუნდებოდა, შემჩნეულ იქნა გერმანიის ორი თვითმფრინავი, რომელიც სანახევროდ წყალში იყო ჩაძირული, და ორი სხვა თვითმფრინავი, რომელიც ნაპირზე იფერფლებოდა.

## რუმინეთის მთავრობის გადადგომა

**ბუქარესტი,** 11 მაისი (საკდესი). დღეს რუმინეთის მეფემ მიიღო პრემიერ-მინისტრი ტატარესკუ, რომელმაც გადასცა განცხადება მთავრობის გადადგომის შესახებ. მეფე დასთანხმდა გადადგომას და მთავრობის შედგენა ისევ ტატარესკუს დააკისრა.

## ამსტერდამისა და ბრიუსელის ბომბარდირება

**ლონდონი,** 11 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით დღეს, დილის 6 საათზე, გერმანიის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს ქალაქ ამსტერდამს; ბომბარდირება 25 წუთს გრძელდებოდა. ჩამოყრილია მრავალი ყუმბარა, მათ შორის რამდენიმე მძიმე ყუმბარა. 6 საათსა და 45 წუთზე გერმანიის ყუმბარმშენები კვლავ გამოჩნდნენ ქალაქის თავზე.

**ლონდონი,** 11 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ბრიუსელზე გერმანიის საჰაერო თავდასხმის შედეგად მოკლულია 41 კაცი და დაჭრილია 82 კაცი.

## მოკავშირეთა ჯარები საფრანგეთ-ბელგიის საზღვარს გადავიდნენ

**პარიზი,** 11 მაისი (საკდესი). ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ ინგლის-საფრანგეთის ჯარები საფრანგეთ-ბელგიის საზღვარს გადავიდნენ.

## ჰოლანდიის ინდოეთმა გერმანიას ომი გამოუცხადა

**ნიუ-იორკი,** 11 მაისი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ჰოლანდიის ინდოეთის გენერალ-გუბერნატორმა გამოაცხადა, რომ ჰოლანდიის ინდოეთი გერმანიასთან ომის მდგომარეობაში იმყოფება. ამასთან მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყოველ სხვა სახელმწიფოს მხრივ შემოთავაზებული რაიმე დახმარება უარყოფილი იქნება, როგორც არასასურველი. ჰოლანდიის ინდოეთში საალყო წესები გამოცხადდა. იქ მცხოვრები გერმანელი მოქალაქენი ინტერნირებული არიან.

## ინგლისის პარლამენტის მომავალი სხდომა

**ლონდონი,** 10 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ, ალბათ, ინგლისის პარლამენტის სხდომა მოწვეულ იქნება 14 მაისს, და არა 21 მაისს, როგორც ეს ნავარაუდევი იყო, როდესაც პარლამენტი საარდადეგოდ დაითხოვეს.

# საკოლმეურნეო შრომის გამარჯვების ზეიმი

## რა იქნება ახალი 1940 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

### საუბარი სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დირექტორთან — აკადემიკოს ნ. ვ. ციცინთან

**მოსკოვი,** — (ჩვენი საკ. კორ.). სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დირექტორმა აკადემიკოსმა **ციცინმა** მიიღო გაზეთ „კომუნისტის“ მუშაკთა ბრიგადა.

ამხ. ციცინმა დაწვრილებით გვიამბო იმის შესახებ, თუ რითი განსხვავდება 1940 წ. სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა 1939 წ. გამოფენისაგან. ის ლაპარაკობდა იმ დიდ ცვლილებათა შესახებ, რომლებიც გამოიწვია გასული წლის გამოფენამ, ამ საკავშირო საცდელმა მინდორმა. გამოფენამ წარმატებით გადასჭრა ჩვენი მთავრობის მიერ მის წინაშე დასახული ერთერთი ძირითადი ამოცანა; იგი წარმოადგენს სოფლის მეურნეობაში სოციალისტური შეჯიბრების მძლავრად გაშლის სტიმულს. ამის შედეგად, როგორც ხაზგასმით აღნიშნა ამხ. ციცინმა, 1940 წ. სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა რიცხვი ერთნახევარჯერ სჭარბობს 1939 წ. გამოფენის მონაწილეთა რიცხვს.

—კიდევ მეტი, — ამბობს ამხ. ციცინი, — წელს გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება არა მარტო ცალკეული კოლმეურნეობები, არამედ ცალკეული რაიონებიც, რომელთა სოფლის მეურნეობა აკმაყოფილებს გამოფენაში მონაწილეობის ნორმებს.

პავილიონებში ექსპონატები შეცვლილი და განახლებულია 70-80 პროცენტით. გამოფენაზე ვნახავთ ამ ექსპონატებით გამოხატულ ჩვენი ქვეყნის გაზრდილ სიმდიდრეს და სტალინური საკოლმეურნეო წყობილების მიერ მოპოვებულ ახალ გამარჯვებებს.

გასულ წელთან შედარებით უფრო კარგად და მდიდრულად იქნება წარმოდგენილი ნატურალური ექსპონატები. თვითეული რესპუბლიკა და თვითეული ოლქი კიდევ უფრო სრული ბრწყინვალებით წარმოგვიდგება თავისი სიმდიდრით. მთავარმა საგამოფენო კომიტეტმა ერთგვარი გამონაკლისი დაუშვა ისეთი შორეული რაიონებისათვის, როგორიცაა მაგალითად შორეული აღმოსავლეთის მხარე და ჩრდილოეთი რაიონები. გასული წლის პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ შორეული აღმოსავლეთის მხრიდან, მაგალითად, კიტრისა და პომიდორის შემოზიდვა მიზანს ვერ აღწევს—ეს ექსპონატები ვერ უძლებდნენ დიდ მანძილს. წელს ჩვენ სხვანაირად მოვიქეცით: შორეული რაიონებიდან მოტანილი თესლიდან ბოსტნეულს ვზრდით ჩვენს მეურნეობაში.

წელს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გაიხსნება სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის ახალი პავილიონი. დამთავრდა გასული წლის ორი პავილიონის ხელახალი მოწყობა—კაზახთა სს რესპუბლიკისა და ნორჩ ნატურალისტთა პავილიონების.

უკრაინისა და ბელორუსიის პავილიონებში თავის გამოხატულებას ჰპოებს გმირული წითელი არმიის მიერ განთავისუფლებული უკრაინისა და ბელორუსიის დასავლეთ ოლქების სოფლის მეურნეობის წინანდელი ჩამორჩენილობა და მისი ზრდა დღეს, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

უზბეკისტანის პავილიონში ნაჩვენები იქნება ფერგანის არხის პანორამა.

ნატურალური ექსპონატების შემდეგ ამხ. ციცინმა გვიამბო მეცხოველეობის შესახებ:

— განყოფილებაში — „ახალი სოფლად“ წელს ნაჩვენები იქნება ყველაზე უფრო მოწინავე საკოლმეურნეო ფერმები, ამასთანავე იმ კოლმეურნეობებისა, რომლებსაც აქვთ არა ერთი, არამედ ორი-სამი ფერმა. ასეთი ფერმების რაოდენობა გასულ წელთან შედარებით ორჯერ მეტი იქნება.

როგორც პირუტყვის შერჩევის შედეგიდან ჩანს, მათი მაჩვენებლები გასულ წელზე უფრო მაღალი იქნება. გამოფენაზე მოსულები ნახავენ მსოფლიო რეკორდსმენ ცხენებს და ძროხებს, რომელთა წველადობა სჭარბობს გასულ წელს წარმოდგენილი ძროხების მაქსიმალურ წველადობას.

მეცხოველეობის განყოფილებაში ვნახავთ აგრეთვე საქართველოდან წარმოდგენილ ცხვრებს, თხებს, კამეჩებს, ძროხებსა და მეცხვარის საუკეთესო ძაღლებს.

გამოფენამ მშვენივრად გადაიტანა სუსხიანი ზამთარი. ეს განსაკუთრებით ითქმის საქართველოს სს რესპუბლიკის პავილიონის ორანჟერეაზე, რომელიც წარმოადგენს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ნამდვილ მშვენებას.

საქართველოს სს რესპუბლიკის პავილიონი ყოველთვის იწვევდა 1939 წ. სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მნახველთა აღფრთოვანებას და მოწონებას. მან საუცხოოდ გამოხატა ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილის ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** უშუალო ხელმძღვანელობით საქართველოს სოფლის მეურნეობის მიერ მიღწეული წარმატებანი. პავილიონის ეს დამსახურებული წარმატება მე რამდენჯერმე აღვნიშნე სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მუშაკთა აქტივის კრებებზე. უნდა ვიფიქროთ, რომ საქართველოს სს რესპუბლიკის პავილიონი წელსაც შეინარჩუნებს მის მიერ მოპოვებულ ადგილს.

1940 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა გახსნილი იქნება 5 თვის განმავლობაში, ორჯერ უფრო ხანგრძლივად, ვიდრე გასულ წელს.

ჩაის მრეწველობისა და სუბტროპიკულ კულტურათა სრულიად-საკავშირო საცდელ-სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სოხუმის ფილიალის ბაღის გამგე მ. ა. კორეინიოკი ჰკრეფს ლიმონს. ფოტო ტოლმაჩევისა.

## საქართველოს სს რესპუბლიკის პავილიონი მიღებულია „ფრიადზე“ შეფასებით

**მოსკოვი,** 10 მაისი (**ბილდაპარატით ჩვენი საკ. კორ.**). მთავრობის კომისიამ მთავარი საგამოფენო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ბენედიქტოვის მეთაურობით მიიღო საქართველოს სს რესპუბლიკის პავილიონი. ისევე, როგორც გასულ წელს, პავილიონი მიღებულია „ფრიადზე“ შეფასებით.

რამდენიმე დღის შემდეგ იგი ფართოდ გაუღებს თავის კარს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის პირველ მნახველებს. გასულ წელთან შედარებით პავილიონი მნიშვნელოვნად არის გამდიდრებული. უფრო სრულად და უკეთესად არის წარმოდგენილი ექსპონატები. ლამაზია მისი გაფორმება. საუცხოოა პავილიონის მთავარი მხატვრის სიდამონ-ერისთავის იდეით შესრულებული ჩუქურთმა ხეზე, რომლითაც ამჟამად თავიდან ბოლომდე დაფარულია პავილიონის მთავარი დარბაზის კედლები. ამ ორნამენტის თემაა სუბტროპიკული ხილი. ჩუქურთმამ, რომელიც ქართული სტილით არის შესრულებული, სახე უცვალა მთელ დარბაზს. გარდაქმნილი დარბაზისაგან მიღებულ შთაბეჭდილებას ავსებს აგრეთვე მოწნული და პაპიე-მაშესაგან გაკეთებული ლამაზი კალათები, რომლებიც დგას მინის იმ კედლის გასწვრივ, რომელიც მთავარ დარბაზს ორანჟერეიისაგან ჰყოფს. მინის კედელს იქით, ორანჟერეაში ტოტებს მიწამდე ხრიან გასული წლის მოსავლის ნაყოფებით დამძიმებული ლიმონის ხეები. ამ კედლის წინ გამწკრივებულია ასეთივე ნაყოფებით პირამდე სავსე კალათები. ამის მეოხებით მთავარი დარბაზი და ორანჟერეა ერთ მთლიანობად გვეჩვენება.

სუბტროპიკული კულტურების დარბაზში საამურ შთაბეჭდილებას ახდენს პანო, რომელსაც სიგრძეზე უჭირავს თითქმის მთელი კედელი და რომელიც ჩაის პლანტაციას გამოხატავს. მხატვარ გიორგაძეს, მართალია, რამდენადმე ძუნწად მოუცია მზის სინათლე, მაგრამ იგი იძლევა საამური სოციალისტური შრომის მართალ სურათს. ნათელი კეთილშობილი ტონებით არის შესრულებული მეცხოველეობის სტენდის პანო, რომელიც ამკობს პავილიონის მესამე დარბაზს. ეს სიდამონ-ერისთავის ახალი ნამუშევარია, რომელიც ღირსია იმისა, რომ მის შესახებ კიდევ ცალკე დაიწეროს.

პავილიონის ყველა სტენდის გაფორმება უკვე დამთავრებულია. უნდა დალაგდეს მხოლოდ ნატურალური ექსპონატების ნაწილი, კერძოდ მეხილეობისა და მებოსტნეობის სტენდებთან. ეს გაკეთებული იქნება გამოფენის გახსნის წინადღეს. რამდენადმე შეფერხდა სამუშაოები ორანჟერეაში. ეს იმის ბრალია, რომ მოსკოვში გაზაფხული გვიან დადგა. ამავე მიზეზით საფარები გადახდილი არა აქვს ჩაის გორაკს და ხეხილის ბაღს, რომლებიც პავილიონთან ღია ნაკვეთებზეა მოთავსებული.

ამჟამად პავილიონში სწარმოებს მეცადინეობა ექსკურსიების ხელმძღვანელებთან, რომლებიც საქართველოდან ჩამოვიდნენ, და სრ.-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ექსკურსიების ხელმძღვანელებთან, რომლებიც ჩაატარებენ ეგრეთწოდებულ გამჭოლ ექსკურსიებს. ამ მეცადინეობას ხელმძღვანელობს პავილიონის მთავარი მეთოდისტი ამხ. დოლონაძე.

**ვ. ყარა-მურზა.**

ალბულაღის რაიონის სოფ. ასურეთის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის აგრონომი ე. კაკულია ამზადებს ყურძნის მტევნებს დაუჭკნობლად შენახვისათვის.

## ორი სტახანოველი ბრიგადირი

ალბულაღის რაიონის სოფ. ასურეთის ლ. ბერიას სახელობის მილიონერი კოლმეურნეობის სტახანოველი ბრიგადირები ედუარდ ენზელმი და ერნსტ შაალი, რომლებიც ვერცხლის პატარა მედლებით არიან დაჯილდოვებულნი სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში წელს მონაწილეობენ იმ დიდი წარმატებებით, რომლებიც მათ ყურძნის, კარტოფილისა და სიმინდის მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში მოიპოვეს.

ედუარდ ენზელმის ბრიგადამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გამოფენაში მონაწილეობისათვის დაწესებული 125 ცენტნერის ნაცვლად მიიღო ჰექტარზე საშუალოდ 198,1 ცენტნერი კარტოფილი, ყურძენი 50 ცენტნერის ნაცვლად 92,8 ცენტნერი და სიმინდი 28,3 ცენტნერი; ერნსტ შაალის ბრიგადამ კი კარტოფილის საშუალო მოსავლიანობა 207 ცენტნერამდე აიყვანა, ყურძნისა — 98,6 ცენტნერამდე.

ამ შესანიშნავ წარმატებებს სტახანოველმა ბრიგადირებმა იმით მიაღწიეს, რომ ისინი და მათი ბრიგადის წევრები ზედმიწევნით იცნობენ კარტოფილის, ვენახისა და სიმინდის მოვლა-დამუშავების აგროტექნიკას, ნიადაგის განაყოფიერებლად ფართოდ იყენებენ სასუქების ადგილობრივ რესურსებს, მინერალური და ორგანიული სასუქები ნათესებში შეაქვთ კომბინირებული წესით და განოყიერების დროს მტკიცედ ითვალისწინებენ თვითეული ნაკვეთის თავისებურებას.

კარტოფილის მოსავლიანობის გადიდებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა იმან, რომ ამ ბრიგადებმა ფართოდ გამოიყენეს გაახალთესლებული თესლი. ბრიგადირები ე. ენზელმი და ე. შაალი თავიანთ ბრიგადებში კარგად ხელმძღვანელობენ სოცშეჯიბრებას, სისტემატურად ამოწმებენ ცალკეული კოლმეურნის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას და როგორც პარტიის წევრები პირად მაგალითზე ზრდიან სხვებს.

ყველა სახის სამუშაოს ვადაზე და მაღალხარისხოვნად შესრულება ე. ენზელმისა და ე. შაალის ბრიგადების თვითეული წევრის საპატიო საქმედ არის გამხდარი. სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების მოთხოვნის შესაბამისად ბრიგადირები სისტემატურად იბარებენ რგოლის ხელმძღვანელებისა და ცალკე კოლმეურნეებისაგან მათ მიერ შესრულებულ სამუშაოს. ეს კიდევ უფრო ზრდის კოლმეურნეთა დაინტერესებას და პასუხისმგებლობას.

სტახანოველ ბრიგადირთა და კოლმეურნეთა გამოცდილება ფართოდ არის გავრცელებული მთელს კოლმეურნეობაში, რითაც მიღწეულია საერთო წარმატება. საკმარისია ითქვას, რომ სოფ. ასურეთის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში მიიღო ჰექტარზე საშუალოდ: ყურძენი 80 ცენტნერი, კარტოფილი—124,3, საგვიანო კომბოსტო — 349,1, პირუტყვის საკვები ჭარხალი —985,8, სიმინდი ურწყავი ფართობიდან — 21,9 ცენტნერი. მიღწეულია აგრეთვე ახალგაზრდა ვენახების 97 პროცენტით გახარება.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მიმდინარე წელს ასურეთის **ლ. ბერიას** სახელობის კოლმეურნეობა ამ წარმატებებს მთელს ჩვენს ქვეყანას უჩვენებს.

**ტ. ჩხაიძე**



სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საქართველოს პავილიონში. პანო—„ჩაის პლანტაცია“. ნახატი ქ. გიორგაძისა.

## საპატიო უფლება მოპოვებულია

გალის რაიონის კოხორის საბჭოთა მეურნეობა შარშან მონაწილეობას იღებდა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში. მთავარი საგამოფენო კომიტეტის დადგენილებით იგი დაჯილდოებულ იქნა პირველი ხარისხის დიპლომით, 10 ათასი მანეთით და მსუბუქი ავტომანქანით.

1939 წელს კოხორის საბჭოთა მეურნეობამ კიდევ უფრო გააძლიერა მუშაობა, რითაც მან 1940 წლის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში ფართო ჩვენებით მონაწილეობის უფლება მოიპოვა. გამოფენაში მონაწილეობისათვის დაწესებული 350 ცალის ნაცვლად, შარშან თითო ხეზე საშუალოდ აქ მოკრეფილ იქნა (სრულჰასაკოვანზე გადაყვანით) 818 ცალი ნაყოფი, ხოლო უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში—622 ცალი.

კოხორის საბჭოთა მეურნეობას თვალსაჩინო მიღწევები აქვს ტუნგოს დარგშიაც. 1938 წელს ჰექტარზე ტუნგოს პლანტაციიდან მიღებულ იქნა 2181 კილოგრამი ნაყოფი, ნაცვლად გამოფენის კომიტეტის მიერ დაწესებული 1500 კილოგრამისა, 1939 წელს კი—2333 კილოგრამი.

კოხორის საბჭოთა მეურნეობამ 3 წლის განმავლობაში მიიღო ციტრუსებისა და სუბტროპიკული ხურმის 564 ათასი სტანდარტული ნერგი. ნამყენმა გაიხარა 96,5 პროცენტით, ნაცვლად სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობისათვის გათვალისწინებული 90 პროცენტისა.

აღნიშნული მიღწევები მოპოვებულია იმით, რომ საბჭოთა მეურნეობაში ფართოდ არის დანერგილი მუშაობის სტახანოვური მეთოდები. აგრო-ტექნიკის დაუფლებით პორფირე მარიანსკიმ უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში საშუალოდ მანდარინის თვითეულ სრულჰასაკოვან ხეზე მოჰკრიფა 784 ცალი ნაყოფი, ვადალი ქვანიამ—793, დიმიტრი კორენიუკმა—651 ცალი და კონსტანტინე პალეიმ—815 ცალი ნაყოფი.

შარშან კოხორის საბჭოთა მეურნეობამ მოჰკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 12.332.209 ცალი მანდარინი და მიიღო 1.600.000 მანეთი წმინდა მოგება, 4-ჯერ მეტი ვიდრე 1937 და 1938 წელს ერთად. საბჭოთა მეურნეობამ აღნიშნული მოგება მოახმარა მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას და მათ გაზრდილ კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. მეურნეობაში სტახანოველი მუშებისათვის აშენდა 2 საცხოვრებელი სახლი, სპეციალისტებისათვის ორსართულიანი სახლი. მოეწყო სასადილო, საბავშვო ბაგა, გამართა ელექტროსადგური, კლუბი, კინოდარბაზი 400 კაცისათვის, ფიზკულტურის დარბაზი, აგროლაბორატორია, სამკითხველო, ბუფეტი, საპარიკმახერო და სხვ. მუშა-მოსამსახურეთა ყველა ბინა უზრუნველყოფილია ელექტროგანათებით.

კოხორის საბჭოთა მეურნეობა მიღწეული წარმატებებით არ კმაყოფილდება. აქ ახლა ენერგიულად იბრძვიან იმისათვის, რომ გადაჭარბებით შეასრულონ 1940 წლის გეგმები.

**აგრ. დ. ფაილოძე**

## აყვავებული ქვეყნის პავილიონი

**ვ. ბუჯიაშვილი.**

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საქართველოს სსრ პავილიონის დირექტორი.

საქართველოს სსრ პავილიონი აღიარებულ იქნა 1939 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ერთერთ საუკეთესო პავილიონად. მან საკმაო სისრულით ასახა საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის გრანდიოზული გამარჯვებანი, რომლებიც სტალინური ხუთწლედების განმავლობაში მიღწეულ იქნა ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით. პავილიონში ფართოდ იყო ნაჩვენები ქართველი ხალხის მეურნეობის, კულტურისა და ხელოვნების აყვავება, რაც მიღწეულ იქნა ქართველი ხალხის საყვარელი შვილის, დიდი **სტალინის** ერთგული მოწაფისა და თანამებრძოლის ამხანაგ **ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას** უშუალო ხელმძღვანელობით.

1939 წლის განმავლობაში ორდენოსანი საქართველოს სოფლის მეურნეობამ მიაღწია ახალ წარმატებებს, რომელთა სურათიც ასე ფართოდ და ნათლად გადაშლილი იყო საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. **კ. ნ. ჩარკვიანის** მოხსენებაში საქართველოს კომპარტიის XIII ყრილობაზე.

საქართველოს სსრ პავილიონის წინაშე დგას ამოცანა ნათლად და დამაჯერებლად ასახოს ეს ზრდა და ეს წარმატებანი 1940 წელშიც.

1940 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენის მონაწილეებად საქართველოდან დამტკიცებულია 8.000-მდე კანდიდატი. მათ შორის 799 კოლმეურნეობა, 48 საბჭოთა მეურნეობა, 6 მტს-ი, 93 საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმა, 6.400-ზე მეტი სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანი და სხვ.

თვით გამოფენამ მოწინავე მეურნეობათა იმ საუკეთესო გამოცდილების ძალით, რაც მასშია თავმოყრილი, შეუწყო ხელი ექსპონენტთა რაოდენობის ზრდას. სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გამოცდილება ფართოდ იქნა გამოყენებული საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობაში. გამოფენის მონაწილეებმა, ექსკურსანტებმა, გაზეთებმა, რომელთა შორისაც საჭიროა აღინიშნოს გაზეთი „კომუნისტი“, „ზარია ვოსტოკა“ და სხვ., რომლებიც განუწყვეტლივ ეწეოდნენ გამოფენის გამოცდილების პროპაგანდას, იგი კოლმეურნეთა ფართო მასების კუთვნილებად გახადეს, გამოიწვიეს ახალი აღმავლობა სოციალისტური შეჯიბრებისა 1940 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლებისათვის.

ჩაის კულტურის ხაზით ჩვენს პავილიონში 1940 წელს წარმოდგენილი იქნებიან: ოჩხამურის სტალინის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობა (ქობულეთის რაიონი), 1939 წლის მონაწილე, რომელიც დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით და პირველი ხარისხის დიპლომით; სოფელ მამათის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა (ლანჩხუთის რაიონი); გალის რაიონის სოფელ ზემო-ბარგების კოლმეურნეობა „გიგანტი“.

ფართო ჩვენებით წარმოდგენილი იქნებიან ჩაის ფოთლის საუკეთესო მკრეფავები ქიონია სარსანია, ჟონა კილაძე, ელენე მეგრელიშვილი, მინუცი შამუგია და სხვ. ჩაის ცალკეულ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების და მათი მოწინავე ადამიანების მაგალითზე პავილიონმა უნდა გვიჩვენოს, თუ რა წარმატებით ასრულებს საქართველო საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დირექტივას ქართული ჩაით სსრ კავშირის მშრომელთა მთელი მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესახებ.

ციტრუსოვანი კულტურების განყოფილებაში მაყურებელი ნახავს რესპუბლიკის პატაკს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1935 წლის 5 ნოემბრის იმ დადგენილების შესრულებაზე, რომელიც ეხება საქართველოში ციტრუსოვანი კულტურების ფართობის 20.000 ჰექტარამდე აყვანას.

ამ პატაკთან ერთად ნაჩვენები იქნება ციტრუსოვანთა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ცნობილი სტახანოველების მეთოდები და მიღწევები.

ციტრუსოვანი კულტურების განყოფილებაში პავილიონის მნახველები გაეცნობიან აგრეთვე მუშაობას შოთა გოგუაძისას, რომელიც განაგებს ურეკის საბჭოთა მეურნეობის სანერგეს (მახარაძის რაიონი). გარდა ურეკის საბჭოთა მეურნეობისა, პავილიონში წარმოდგენილი იქნებიან სოფელ ულიანოვკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობა (ქობულეთის რაიონი), 1939 წლის მონაწილე; სოფელ თხინვალის კოლმეურნეობა „ჩაქუჩ-ნამგალი“ (მახარაძის რაიონი), ისიც 1939 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე, ხოლო ციტრუსოვანთა პლანტაციების მოწინავეებიდან — გერმანე ჩხარტიშვილი, ილია შარაშიძე, კლიმენტი ხომერიკი, დიმიტრი კიპსელიდი, ალექსანდრე ახობაძე, ბესარიონ როყუა. ყველა ისინი გასული წლის გამოფენის მონაწილეები არიან: პავილიონში ფართო ჩვენებით პირველად იქნება წარმოდგენილი მახინჯაურის სუბტროპიკული საბჭოთა მეურნეობის აგრონომის ნინო იმნაიშვილის, იმავე საბჭოთა მეურნეობის რგოლის ხელმძღვანელის ვალიკო კუნჭულიას, სოფელ ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირ სარდიონ გოგოტიშვილის (მახარაძის რაიონი) და სხვ. სტახანოვური მუშაობა.

ერთერთი ახალი პანო, რომელსაც მნახველი საქართველოს სსრ პავილიონში ნახავს, მიძღვნილი იქნება ტუნგოსადმი.

მევენახეობის სტენდებზე წარმოდგენილი იქნება აგრეთვე სიღნაღის რაიონის ხირსის ბერიას სახელობის მევენახეობა-მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობა და ზესტაფონის რაიონის სოფ. კინოთის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობა. პავილიონის ამ განყოფილების ახალი მონაწილე იქნება გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობა „ოქტომბრის რევოლუცია“. აქ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ყურძნის ხარისხიანობის ჩვენებას. გასულ წელთან შედარებით გაცილებით უფრო მრავალფეროვანი იქნება ექსპონატები საქართველოს ღვინოების, შამპანიურის, კონიაკის და სხვ. სტენდებზე.

გასულ წელთან შედარებით უფრო სრულად იქნება წარმოდგენილი მეთამბაქოობის განყოფილება. გამოფენის გასული წლის მონაწილეების — სოფ. ალმამეტლოს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის (ბორჩალოს რაიონი), სოფ. ცოდნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის (ლაგოდეხის რაიონი), სოფ. სალმეს კოლმეურნეობა „ზარია კავკაზა“ (გაგრის რაიონი) გარდა, აქ პირველად იქნებიან წარმოდგენილი თავისი პროდუქციით ლაგოდეხისა და ბორჩალოს რაიონების კოლმეურნეობები, რომლებმაც მოიყვანეს „ტრაპიზონის“ საუკეთესო ჯიშის თამბაქო.

მებოსტნეობის განყოფილებაში სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნისათვის გამოფენილი იქნება ადრეული ბოსტნეული—კიტრი, პომიდორი, საზამთრო, რაც ამჟამად მოჰყავთ სათბურებში თბილისის მახლობლად.

მარცვლეული მეურნეობის სტენდი გვიამბობს იმის შესახებ, თუ როგორ იბრძვის საქართველო მის წინაშე დასმული ამოცანის — უახლოესი წლების განმავლობაში თავისი საჭიროების საკუთარი პურით უზრუნველყოფის შესახებ.

მეაბრეშუმეობის განყოფილება გვიჩვენებს 11 ქისტაურელი სტახანოველის მუშაობას ოსანა აივაზაშვილის მეთაურობით.

უფრო სრულად, ვიდრე გასულ წელს, პავილიონში წარმოდგენილი იქნება მეცნიერება, რომელიც სოციალისტურ სოფლის მეურნეობას ემსახურება. 27 მეცნიერ მუშაკს შორის, რომელთა კანდიდატურებიც დამტკიცებულია ფართო ჩვენებისათვის, ჩვენ ვხვდებით საქართველოს ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორებს ლომაურს, დეკაპრელევიჩს, კვარაცხელიას, კეცხოველს, გედევანიშვილს, ამ ინსტიტუტის დირექტორს გელაშვილს, ზოოტექნიკურ-ვეტერინარული ინსტიტუტის პროფესორს აგლაძეს და სხვ.

სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს ეთმობათ სტენდი, რომელიც გვიამბობს ამ ინსტიტუტების კავშირის შესახებ წარმოებასთან. გამოფენილი იქნება მოდელები ჩაის საჭკნობი აგრეგატებისა, რომლებიც გამოგონილია ამხ. მარდალეიშვილის, ლომინაძისა და შარკოვსკის მიერ, ნაჩვენები იქნება ამხ. კვირკველიას მიერ გამოგონილი თამბაქოს ასაცმელი მანქანა. ნაჩვენები იქნება აგრეთვე აგრონომ სესიაშვილის გამოგონება ღვინო-ქვის მჟავას მოპოვების დარგში.

ახლად იქნება გაფორმებული პავილიონის ცენტრალური დარბაზი, რომელიც მიძღვნილია თემისადმი: **„საქართველო — დიდი სტალინის სამშობლო ჰყვავის სტალინური კონსტიტუციის მზის ქვეშ“**. ამ დარბაზის კედლები გასული წლისაგან განსხვავებით დაფარული იქნება ხეზე მოჩუქურთმებული, საქართველოსათვის დამახასიათებელი სტილის მცენარეული სუბტროპიკული ორნამენტით, მინის კედლის გასწვრივ კი, რომელიც ამ დარბაზს ორანჟერიისაგან ჰყოფს, მოთავსებული იქნება ლამაზი მოწნული კალათები, რომლებიც სავსე იქნება რჩეული ჯიშების ციტრუსთა ნაყოფებით და ხილით.

ცენტრალურ დარბაზში აგრეთვე უფრო უხვად იქნება ნაჩვენები სპეციალურ სტენდზე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ექსპონატები.

საქართველოს სსრ პავილიონის მუშაკები მოუთმენლად ელიან იმ საზეიმო საათს, როდესაც გახსნილი იქნება 1940 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. მთელ ძალღონეს მოვახმართ იმას, რომ ღირსეულად მივიღოთ გამოფენის მონაწილეები და მისი მნახველები, რომ ჩვენს პავილიონს ისევე შინაარსიანად, როგორც გასულ წელს, და კიდევ უფრო მეტი სისრულით შეეძლოს გააცნოს თავის სტუმრებს ის ბრწყინვალე წარმატებანი, რომლებსაც საქართველოს სოფლის მეურნეობამ **ლენინ-სტალინის** დიდი პარტიის ხელმძღვანელობით მიაღწია.

## ევკალიპტის ოსტატი

(ფოთი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

კოლხიდმშენის ევკალიპტის სანერგე მეურნეობაში გამოყვანილი და გაზრდილი ევკალიპტების ხეივნები ამშვენებდა შარშან სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საქართველოს პავილიონს.

ეს სანერგე მიღწეული წარმატებებისათვის მთავარმა საგამოფენო კომიტეტმა მეორე ხარისხის დიპლომით, მოტოციკლითა და 5.000 მანეთით დააჯილდოვა. წელს კი სანერგემ გამოფენაში ფართო ჩვენებით მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

სანერგის მუშაკები მზრუნველობით უვლიან ევკალიპტის ნერგებს სათბურებში და დაფესვიანებული ნერგები სათუთად გადააქვთ ხავსის ბუდით პლანტაციებში.

ხავსის ბუდე, ამავე სანერგეს უფროსი სპეციალისტის ვ. პოპოვის მეთოდით, ევკალიპტის გადარგვის საუკეთესო საშუალებაა. წინათ მრავალი ევკალიპტი იღუპებოდა სათბურიდან გადარგვისას. ნერგებს მუდმივ ადგილზე დარგვისას თან უნდა გაჰყოლოდა იმ მიწის ნაწილი, რომელშიაც ფესვებმა პირველად იწყეს განვითარება. ამ მიზნით ნერგებს ჯერ ქოთნებში რგავდნენ. შემდეგ ქოთანი ბამბუკის ბუდეებით შესცვალეს, მაგრამ ორივე შემთხვევაში ევკალიპტის ახალგაზრდა ნერგების ფესვებს საშუალება არ ჰქონდა ნორმალურად განვითარებულიყვნენ, რაც იწვევდა ნერგების დიდი რაოდენობით დაღუპვას.

აგრონომ ვ. პოპოვის მეთოდი— ევკალიპტის დარგვის დროს ხავსის ბუდის გამოყენების შესახებ, ბრწყინვალედ გამართლდა. ხავსის ბუდის გამოყენებამ ნერგების გახმობის პროცესი მინიმუმამდე შეამცირა.

სარეკორდო მაჩვენებელი აქვს ამხ. პოპოვს ევკალიპტების ნათესებიდან ნერგების გამოყვანის საქმეში. ჩვეულებრივად ერთი კილოგრამი თესლიდან 10 ათასი ნერგი გამოჰყავთ. ამხ. პოპოვმა კი გამოიყვანა 17 ათასი ძირი და ამით მოიპოვა უფლება გამხდარიყო 1940 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე.

სანერგეში ფართოდაა გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. ბრიგადა ბრიგადას ეჯიბრება. რგოლი რგოლს, თვით სანერგეს კი შეჯიბრებაში გამოწვეული ჰყავს კოლხიდმშენის საცდელი სადგური.

შეჯიბრებაში თავი ისახელა პირველმა ბრიგადამ, რომელსაც სტახანოველი ალექსანდრა ხოშტარია ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადამ ევკალიპტის ნერგები 97 პროცენტით გაახარა. ამავე ბრიგადაში ქ. დედიშევას რგოლმა 1939 წლის გეგმა 238 პროცენტით შეასრულა.

კოლხიდმშენის ევკალიპტის სანერგის გამოცდილება ფართოდ ვრცელდება მთელ რიგ კოლმეურნეობებში. ამ მიზნით აზერბაიჯანიდან სპეციალისტთა ჯგუფიც კი ჩამოვიდა ფოთში.

ევკალიპტის 136 კილოგრამი თესლიდან სანერგეს გეგმით 1940 წლის ბოლოსათვის 2.330.000 ძირი ნერგი უნდა გამოეყვანა. სინამდვილეში კი ამ გეგმას აქ თვალსაჩინოდ გადააჭარბეს.

**ალ. თოფურია**

# ჰოლანდია (ნიდერლანდი)

(ცნობა)

ჰოლანდია მდებარეობს ჩრდილოეთი ზღვის სანაპიროზე. სამხრეთით ესაზღვრება ბელგიას, აღმოსავლეთით — გერმანიას. როგორც მოხერხებული სამხედრო-სტრატეგიული ბაზა და მომარაგების წყარო, იგი მეომარი მხარეების ყურადღებას იპყრობდა.

ჰოლანდიის ფართობი 34,2 ათას კვადრატულ კილომეტრს უდრის. მოსახლეობა 8.651 ათას კაცს შეადგენს. მოსახლეობის სიმჭიდროვე—253 კაცი ერთ კვადრატულ კილომეტრზე.

ყველაზე მჭიდროდ დასახლებულია ჰოლანდიის დასავლეთი ნაწილი. აქ არის ჰოლანდიის სამი უდიდესი ქალაქი ამსტერდამი—783 ათასი მცხოვრებით, როტერდამი—598 ათასი, ჰააგა—486 ათასი.

მეფე და მთავრობა იმყოფებიან ჰააგაში, ნაციონალურ დედაქალაქად ამსტერდამი ითვლება. ამსტერდამი არის აგრეთვე ჰოლანდიის უდიდესი ნავსადგური, ერთ-ერთი უდიდესი ნავსადგური მსოფლიოში.

ჰოლანდია წყლის მნიშვნელოვანი გზების კვანძია. ჰოლანდიის ტერიტორიაზე მდებარეობს რაინის, მაასისა და შელდის შესართავები, ეს მდინარეები ჩრდილოეთის ზღვას ერთვიან. ამის მეოხებით ჰოლანდიელები ჰფლობენ ყველაზე მოკლე გასასვლელს ზღვაში.

ჰოლანდიის თითქმის მთელი დასავლეთი ნაწილი ზღვის დონეზე დაბლა მდებარეობს. ჰოლანდიის სანაპირო დაცულია ვეებერთელა ჯებირებით. მათი სიგანე 100 მეტრს აღწევს, ხოლო სიმაღლე 10 მეტრს, დამცველი კაშხლების გარდა ჰოლანდიამ ააგო არხებისა და რაბების ფართო ქსელი.

ჰოლანდია საზღვაო ქვეყანაა დიდად განვითარებული სოფლის მეურნეობით, მრეწველობით, რომელიც სასოფლო-სამეურნეო ნედლეულს ამუშავებს.

ამ ქვეყნის ეკონომიკაში წამყვანი ადგილი უკავია ინტენსიურ სახორცე-სარძეო მესაქონლეობას. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვით უზრუნველყოფის მხრივ ჰოლანდიას პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში.

კარგად განვითარებულია სოფლის მეურნეობა. ძირითადი კულტურებია ჭვავი, შვრია და ხორბალი.

დიდად განვითარებულია მებაღეობა და მებოსტნეობა. მებაღეობისა და მესაქონლეობის პროდუქტები ექსპორტის საგანს წარმოადგენენ.

ჰოლანდიის მრეწველობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კვებისა და იმ საწარმოებს, სადაც კოლონიური და ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავება ხდება.

მრეწველობის დანარჩენ დარგებში ყველაზე მეტად განვითარებულია საფეიქრო, სამკერვალო და გემთმშენებელი დარგები.

ჰოლანდიის მეურნეობაში უდიდეს როლს ასრულებს ნაოსნობა და საზღვაო ვაჭრობა. ჰოლანდიის სავაჭრო ფლოტში ათას ხუთასზე მეტი გემი ითვლება. მათი საერთო ტონაჟი 2,6 მილიონ ტონას შეადგენს, რაც მსოფლიო ტონაჟის 4 პროცენტს უდრის.

საგარეო ვაჭრობის ბრუნვის მოცულობა მსოფლიო საგარეო ვაჭრობის 3 პროცენტს შეადგენს.

ჰოლანდიის კაპიტალი ინგლისის კაპიტალის დიდ გავლენას განიცდის. ამ კავშირს ყველაზე უფრო ძლიერ ინგლის-ჰოლანდიის ნავთის კონცერნი — „როიალ დეტჩ შელი“ გამოხატავს; ეს კონცერნი დიდ გავლენას ახდენს ჰოლანდიის მთავრობის პოლიტიკაზე. ინგლისის კაპიტალის გავლენა განსაკუთრებით ძლიერია ჰოლანდიის ინდოეთში, სადაც ინგლისის კაპიტალი დამკვიდრებულია არა მარტო ნავთის მრეწველობაში, არამედ სოფლის მეურნეობაშიც.

ომმა სერიოზული ზიანი მიაყენა ჰოლანდიის ეკონომიკას. ჰოლანდიის ნაოსნობა და ვაჭრობა დეზორგანიზებულ იქნა, რადგან ჰოლანდია მდებარეობს უშუალოდ საზღვაო-სამხედრო მოქმედების რაიონში, ჩრდილოეთის ზღვის სანაპიროზე. ჰოლანდიამ—ნეიტრალურმა ქვეყანამ—ომის დაწყებიდან 12 გემი დაკარგა, რომელთა წყალწყვა 50 ათას ტონას უდრის. ომმა თითქმის სავსებით მოშალა ჰოლანდიის კავშირი მის მრავალ კოლონიებთან.

ჰოლანდიის კოლონიური სამფლობელოები — ჰოლანდიის ინდოეთი (ინდონეზია), სურინამი (ჰოლანდიის გვიანა) და კიურასაო ფართობის ოდენობით საკუთრივ ჰოლანდიას თითქმის 60-ჯერ აღემატება, მოსახლეობის რიცხვით კი — 7-ჯერ და უფრო მეტადაც.

კოლონიებში ნედლეულის დიდძალი მარაგი მოიპოვება და ჰოლანდიისათვის ამ კოლონიებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ.

ჰოლანდიის ინდოეთში იღებენ ნავთს; ნავთის მოპოვების მხრივ ჰოლანდიის ინდოეთს მეექვსე ადგილი უკავია მსოფლიოში. ინდონეზია მდიდარია აგრეთვე მარგანეცით, კალით, კაუჩუკითა და ბოქსიტებით.

ინდონეზიის ნავთისა და სხვა მრეწველობაში დიდი სახსრები აქვთ დაბანდებული ამერიკის შეერთებულ შტატებს, ინგლისსა და იაპონიას.

ინდონეზია და ჰოლანდიის სხვა კოლონიური სამფლობელოები იაპონიისა, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატებისათვისაც დიდს სამხედრო სტრატეგიულ ღირებულებას წარმოადგენენ და ამის გამო იგი მათ შორის გააფთრებული ბრძოლის ობიექტია.

ჰოლანდიის სახმელეთო არმია 35-40 ათასი კაცისაგან შესდგება. არმია შეიარაღებულია საბრძოლო ტექნიკის უახლესი საშუალებებით. გერმანული სამხედრო ჟურნალის „დოიჩე ვერის“ ცნობის მიხედვით, ომის დროს ჰოლანდიის არმიის რიცხვი შეიძლება აყვანილ იქნას 400 ათას კაცამდე. ჰოლანდიის თავდაცვის სისტემა ითვალისწინებს აგრეთვე ჰოლანდიის სანაპირო რაიონების წალეკვას რაბების გახსნის გზით.

ჰოლანდიას საკუთარი ავიამრეწველობა აქვს. ფოკერის ცნობილი ქარხნები უახლესი ტიპების თვითმფრინავებს ამზადებენ.

ჰოლანდიის სამხედრო-საზღვაო ფლოტი შესდგება 1 კრეისერისაგან, 8 საესკადრო ნაღმოსნისაგან, 11 ნაღმოსნისაგან, 27 წყალქვეშა ნავისა და სხვადასხვა წვრილი დამხმარე გემებისაგან.

10 მაისი (საკდესი).



## ამერიკის შეერთებული შტატებიდან აკრძალულია ჰოლანდიის, ბელგიისა და ლუქსემბურგის ფონდების გატანა

**ნიუ-იორკი,** 10 მაისი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს გადმოცემით, რუზველტმა აკრძალა ჰოლანდიის, ბელგიისა და ლუქსემბურგის ფონდების გატანა ამერიკის შეერთებული შტატებიდან.

# ბ ე ლ გ ი ა

(ცნობა)

ბელგიას უკავია 30.500 კვადრატული კილომეტრი ფართობი. მოსახლეობა — დაახლოებით 8.361 ათასი კაცი—შესდგება ფლამანდურ ენაზე მოლაპარაკე ფლამანდელებისაგან, რომლებიც ბელგიის ჩრდილო ნაწილსა და ფლანდრიაში ცხოვრობენ, და ბელგიის სამხრეთ ნაწილში—ვალონიაში მცხოვრებ ვალონებისაგან.

ბელგიის ჩრდილოეთ-დასავლეთით ეკრავს ჩრდილოეთის ზღვა. მას ესაზღვრებიან ჰოლანდია, გერმანია, ლუქსემბურგი და საფრანგეთი. ამ პატარა სახელმწიფოს აფრიკაში აქვს დიდი კოლონია—ბელგიის კონგო, რომელსაც 2.336.900 კვადრატული კილომეტრი ტერიტორია უკავია და რომლის მოსახლეობა 10 მილიონ კაცს აღემატება, აგრეთვე საქვემანდატო ტერიტორია რუანდა-ურუნდი 54 ათასი კვადრატული კილომეტრი ტერიტორიითა და 3.387 ათასი კაცის მოსახლეობითურთ.

ბელგია კონსტიტუციური სამეფოა; მას ჰყავს პარლამენტი. მისი დედაქალაქის—ბრიუსელის მოსახლეობა 910 ათას კაცს აღწევს. სხვა დიდი ქალაქებია ანტვერპენი, გენტი და ლიეჟი. საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ნავსადგურებია: ანტვერპენი და ოსტენდე, სანაოსნო მდინარენი—მაასი და შელდა. ბელგიაში დიდძალი არხია გაყვანილი.

ბელგია სამრეწველო და სავაჭრო ქვეყანაა. მრეწველობა, უმთავრესად მძიმე და მანქანათმშენებლობისა, ფრიად განვითარებულია. თუჯისა და ფეროშენადნობთა წარმოება 1938 წელს უდრიდა 2.465 ათას ტონას, ფოლადის წარმოება—2.285 ათას ტონას, ქვანახშირის ამოღება—29.575 ათას ტონას. ბელგიაში ქვანახშირის მდიდარი საბადოებია. მარტო სამი საბადოს—ნამიურის, ლიეჟისა და შარლერუას ქვანახშირის მარაგი—15-16 მილიარდ ტონას უდრის.

ბელგიაში სჭარბობს მიწის წვრილი კერძო მესაკუთრეობა. მიწათმოქმედთა 76 პროცენტს მეურნეობაზე სულ ბევრი 2 ჰექტარი მიწა აქვს. მრავალი გლეხი ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობს. ამის შედეგად ბელგიის მეწარმეებს საშუალება აქვთ მეტად დაბალი ხელფასი აძლიონ მუშებს. ბელგიის მუშები ევროპაში ყველაზე დაბალ ხელფასს იღებენ.

ბელგიას საკუთარი პროდუქტები არა ჰყოფნის. მშვიდობიანობის დროს ბელგიას ყოველწლიურად შეჰქონდა 10 მილიონი ტონა სხვადასხვა საქონელი, მათ შორის პური, ზეთი, ცხიმეული, ბრინჯი, ყავა, საწვავი, მატყლი, კაუჩუკი, საფეიქრო საქონელი და სხვ.

იმ გარემოებამ, რომ ბელგიას ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა აქვს—იგი საერთაშორისო ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი გზების შესაყარზეა, აგრეთვე აფრიკის კოლონიების ექსპლუატაციამ, ბელგიაში გამოიწვიეს ვაჭრობისა და საფინანსო კაპიტალის ადრე განვითარება, ხელი შეუწყეს ამ ქვეყანაში დიდძალი სიმდიდრის დაგროვებას.

ამჟამად, ომთან დაკავშირებით, ბელგიას მისი გეოგრაფიული მდებარეობა მეტად კრიტიკულ მდგომარეობას უქმნის, იწვევს საგარეო ვაჭრობის, ნაოსნობის პარალიზებას, არღვევს ბელგიის მთელი ეკონომიური ცხოვრების ნორმალურ მიმდინარეობას.

ომთან დაკავშირებით ბელგია მეტად დიდ თანხებს ხარჯავდა თავდაცვისათვის. ბელგიის პრესის ცნობებით, ბელგიას, ნახევრადმობილიზაციურ მზადყოფნაში ჰყავდა 700-800 ათას კაცისაგან შემდგარი არმია, აგრეთვე ამაგრებდა თავის საზღვრებს.

კერძოდ, ლუქსემბურგისა და გერმანიის საზღვრის გასწვრივ აგებულია სიმაგრეთა ხაზი, რომელსაც 300-ზე მეტი ბეტონის ბლოკჰაუზი აქვს. ბლოკჰაუზები ოსტატურად არის შენიღბული, გზები დანაღმულია. შექმნილია მრავალი ბეტონისა და რკინის ტანკსაწინააღმდეგო ღობურა. ხაზს ეწოდება დევეზის სახელი, რომელსაც ამ ხაზის მშენებლობის დროს სამხედრო მინისტრის პოსტი ეკავა.

ბელგიის ჩრდილოეთ ნაწილში გაყვანილია ალბერტის გამაგრებული არხი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ქალაქ ლიეჟსა და ანტვერპენს. არხის ჯებირები 130-200 ფუტ სიმაღლეს აღწევს. ჯებირებს თითქმის შვეული კედლები აქვთ. ბელგიის საზღვრებზე წყლის დაბრკოლება შესდგება აგრეთვე ლიეჟსა და ანტვერპენს შორის არსებული არხებისა და რაბების მთელი სისტემისაგან.

თავდაცვის ხარჯები წელს გათვალისწინებული იყო დღეში 11 მილიონი ფრანკის რაოდენობით.

ბელგიას მჭიდრო სამრეწველო და საფინანსო სავაჭრო ურთიერთობა აქვს მეზობელ სახელმწიფოებთან. იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული საფრანგეთის საფინანსო კაპიტალთან.

ბელგიის პლაცდარმის სტრატეგიული მნიშვნელობა მეტად დიდია. თუ გერმანიის ჯარმა ბელგიის ნავსადგურებისა და აეროდრომების ხელში ჩაგდება შესძლო, ამით ინგლისის საარსებო ცენტრებს ბევრად მეტი საფრთხე შეექმნება გერმანიის ავიაციისაგან, რადგანაც ბელგია ინგლისისაგან დაშორებულია მხოლოდ შედარებით ვიწრო პადე-კალის სრუტით.

10 მაისი (საკდესი).

# დიდი საჰერცოგო ლუქსემბურგი

(ცნობა)

დიდ საჰერცოგო ლუქსემბურგს უკავია 2.587 კვადრატული კილომეტრი დაახლოებით 300 ათასი მცხოვრებითურთ. ლუქსემბურგი კონსტიტუციურ-მემკვიდრეობითი მონარქიაა. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის დეპუტატთა პალატას, რომელსაც 6 წლით ირჩევენ. სახელმწიფოებრივი ენაა გერმანული და ფრანგული.

ლუქსემბურგის ტერიტორია, რომელიც ესაზღვრება საფრანგეთს, გერმანიასა და ბელგიას, წააგავს სოლს, რომელიც შეჭრილია გერმანიისა და საფრანგეთის გამაგრებულ ხაზებს მაჟინოსა და ზიგფრიდს შორის.

ლუქსემბურგის სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი მდინარე მოზელამდე გეოგრაფიულად ლოტარინგიის გაგრძელებას წარმოადგენს. ეს არის შედარებით ნოყიერი, ეკონომიურად განვითარებული რაიონი. იგი მდიდარია რკინის მადნით. აქ თავმოყრილია ლუქსემბურგის თითქმის მთელი მრეწველობა.

ლუქსემბურგი განვითარებული ინდუსტრიული ქვეყანაა. მთავარ როლს ასრულებს მეტალურგიული და რკინის მადნის მრეწველობა, რომელიც ამ ქვეყნის დიდ ბუნებრივ სიმდიდრეს ემყარება. 1938 წელს ლუქსემბურგს თუჯის პროდუქციის მხრივ მეექვსე ადგილი, ხოლო ფოლადის პროდუქციის მხრივ მერვე ადგილი ეკავა ევროპაში.

ლუქსემბურგის მეტალურგიულ და ლითონისდამმუშავებელ საწარმოთა უმრავლესობა, რომლებიც პირველ იმპერიალისტურ ომამდე გერმანიის კაპიტალს ეკუთვნოდა, ამჟამად საფრანგეთისა და ბელგიის კონცერნების ხელშია.

გასული წლის სექტემბრიდან დაწყებული დაბრკოლებებმა იმპორტის, უმთავრესად გერმანიის ქვანახშირის იმპორტის დარგში წარმოების დიდი შემცირება გამოიწვია. ნედლეულის უქონლობამ განსაკუთრებით გავლენა მოახდინა წვრილ მრეწველობაზე, ამასთან დაკავშირებით ვაჭრობა პარალიზებულია, უმუშევრობა დღითი-დღე იზრდება.

ლუქსემბურგის სოფლის მეურნეობას მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს; სურსათ-სანოვაგის მეტი ნაწილი ლუქსემბურგს გარედან შეაქვს. შედარებით განვითარებულია მხოლოდ სამხრეთ რაიონის მარცვლეულისა და მეცხოველეობის მეურნეობა, რომელიც თავისი პროდუქტებით დიდ ქალაქებსა და მუშათა დაბებს ამარაგებს.

10 მაისი (საკდესი).

## ცვლილება საფრანგეთის მთავრობის შემადგენლობაში

**პარიზი,** 10 მაისი (საკდესი). ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ საფრანგეთის მთავრობის შემადგენლობაში ცვლილება მოხდა. ლუი მარენი („რესპუბლიკური ფედერაციის“ პარტიის ლიდერი) და იბარნეგარე („დამოუკიდებელი რესპუბლიკელი“) დანიშნული არიან უპორტფელო მინისტრებად და სამხედრო კაბინეტის წევრებად. მინისტრთა მოადგილეების თანამდებობანი (10-ზე მეტი იყო) უქმდება გარდა ოთხისა: მთავრობის მეთაურის თანაშემწისა მინისტრთა საბჭოს საქმეების ხაზით და სამხედრო კაბინეტის გენერალური მდივნისა (ბოდუენი), ავიაციის მინისტრის მოადგილისა საავიაციო მრეწველობის საქმეების ხაზით (მენი), ინფორმაციის მინისტრის მოადგილისა (ფევრიე) და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანაშემწისა (შუმანი).

## საბჭოთა გამოფენის წარმატება ბულგარეთში

**სოფია,** 10 მაისი (საკდესი). სსრ კავშირის 1939 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა, რომელიც პლოვდივში გაიხსნა, კვლავ დიდი წარმატებით სარგებლობს. მიუხედავად იმისა, რომ გამოფენას შედარებით პატარა შენობა უჭირავს, პირველი 7 დღის განმავლობაში იგი 25.261 კაცმა დაათვალიერა. ცალკეულ დღეებში დამთვალიერებელთა რაოდენობა 5 ათას კაცს აღემატებოდა. შთაბეჭდილებათა ჩასაწერ წიგნში უკვე შეტანილია ათასზე მეტი ჩანაწერი, რომელთა მიხედვით დამთვალიერებელთა უდიდესი უმრავლესობა აღტაცებას გამოსთქვამს საბჭოთა სოფლის მეურნეობის წარმატებათა გამო. გამოფენის დამთვალიერებელთა შორის ბევრია გლეხი.

„კომბლე“ თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში. სურათზე: მსახ. გ. კუპრაშვილი (წუნია), ელ. ურუშაძე (კუწო), გ. აბაშიძე (კომბლე), ა. ტუსიშვილი (კოწო) და ა. კაჭკაჭიშვილი (ფიცინა).

# ახალგაზრდობის საყვარელი სპექტაკლი

(„კომბლე“ თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრში)

საუკუნეთა განმავლობაში განცდილი და ათვისებული ცხოვრების სიბრძნე ხალხს ზღაპარში ჩაუქსოვია. ზღაპარი ხალხის წარსულის თავისებური მატიანე, რომლის მარტივსა და მკვეთრ ფერებში ნათლად გამოსჭვივის მისი მომთხრობის თავგადასავალი. მიუხედავად ფანტასტიურობისა და მოვლენათა არაჩვეულებრივი განვითარებისა, ზღაპარი უნაკლოდ გვისურათებს ხალხის ბუნებას.

„კომბლეში“ ქართველი ხალხის ნაციონალური თვისებები და მისი ხასიათი უაღრესად განზოგადებულია. გ. ნახუცრიშვილმა ხალხური ზღაპარი გამოიყენა ფორმად, რომელშიაც სულხან-საბა ორბელიანის არაკის მარცვალზე გაფურჩქნილი ხალხური სიბრძნის სცენიური მოთხრობა მოათავსა.

პიესის მთავარი გმირი—კომბლე—ასცდა პროტოტიპს, მაგრამ ავტორმა მისაბაძად გააღრმავა საბას თხრობის ხერხის გამოყენებით ზღაპრული რეალიზმი და ამით საუცხოო განძი შემატა ქართულ დრამატურგიას. კომბლემ მოუძებნა უსამართლობას სოციალური ძირი, ებრძვის მას ისევე, როგორც ებრძოდა მას საუკუნეების განმავლობაში ქართველი ხალხი და ამჟღავნებს ყველა იმ თვისებებს, რაც ამ უკანასკნელს ახასიათებდა—სიმხნეს, ბოროტების წინაშე ქედმოუხრელობას, სიმართლისადმი ერთგულებას და თავდადებას. სიუჟეტის ბუნებრივი განვითარებით ყოველივე ეს ღრმად იბეჭდება მოზარდი მაყურებლის შეგნებაში. ამ მიზნის მისაღწევად გ. ნახუცრიშვილს ჭეშმარიტი შემოქმედებითი გამბედაობა გამოუჩენია. ის აღრმავებს ხალხის ფანტაზიის იმდენად, რომ კომბლე, ბოლოს, ძროხის კუდით მეფესაც კი სცემს, მაგრამ ისე ბუნებრივად ვითარდება მოქმედება, რომ ზღაპრის აღმზრდელობითი მნიშვნელობა ამით კიდევ უფრო იგებს.

თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში მისი დადგმა ეკუთვნის რეჟისორ ს. შავიშვილს. ძირითადად იგი სწორად ჩასწვდომია დრამატურგის ჩანაფიქრს, სწორად მოუხაზავს მომქმედი პირების სცენიური სახეები და წარმოდგენაშიც ზღაპრის რეალისტური ტონი გულმოდგინედ დაუცავს. მასთან მიზანსცენებიც ძირითადად სწორად აქვს შერჩეული. უნდა შევნიშნოთ მხოლოდ, რომ თუმცა პიესის აღმზრდელობითი მხარე სპექტაკლში ხაზგასმულია, მაგრამ ბევრი ხალხური სიბრძნე, რომელიც მის ტექსტში სჭქეფს, მოზარდ მაყურებლებამდე ვერ აღწევს იმის გამო, რომ დამდგმელი გაუტაცია პიესის კომედიურ მხარეს. მასთან იგი ზედმეტ სცენიურ სიფრთხილეს იჩენს და შემოქმედებითს ფანტაზიას ზღუდავს.

სპექტაკლის მხატვრული გაფორმება ეკუთვნის ორდენოსან მხატვარს ელ. ახვლედიანს. მისი ნამუშევარი გვახარებს თავისი ფერადოვნებითა და ნაციონალური კოლორიტით. მხატვრული სიმართლით არის ამეტყველებული ქართული ჰეიზაჟი პირველ მოქმედებაში. შეუდარებელია ქალაქიც მეორე მოქმედებაში, მაგრამ რეჟისორულად ის გამოყენებული არ არის. ცუდი განათებაც ხელს არ უწყობს მხატვრის ნამუშევრის გამოჩენას.

სპექტაკლის მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის კომპ. ვ. შავერზაშვილს.

სპექტაკლი საინტერესოა თავისი აქტიორული შესრულებით.

კომბლეს ანსახიერებს მსახიობი **გ. აბაშიძე.** მას აქვს სცენიური მომხიბვლელობა, კარგი გარეგნობა და ბუნებრივი სითბო, რაც თავიდანვე აუდიტორიაში გმირის სასარგებლო განწყობილებას ჰქმნის, მაგრამ მის განსახიერებულ ტიპს ზედმეტად ინტელიგენტური ელფერი გადაჰკრავს.

ასეთისაგან თავისუფალია მსახიობი **ა. კაჭკაჭიშვილი** ფიცინას როლში. იგი ჰქმნის ცბიერი და გაიძვერა გლეხის უაღრესად რეალურ სცენიურ სახეს. მსახიობს კარგი მეტყველება აქვს და მასთან შეხამებული სცენიური მოძრაობაც. მხატვრული სიმართლით გამოირჩევა **მ. ერგნელის** თამაშიც კაწაწას როლში.

კარგი სცენიური მონაცემები და მომხიბვლელობა გამოამჟღავნა **ა. ლვინიაშვილმა** მარინეს როლში.

ბეგლარ-აღას დამაჯერებელი სცენიური სახე მოგვცა **ვ. არეშიძემ,** კარგია **ქ. ხუნდაძეც** მამასახლისის როლში, რომ ჩანდახან ფრაზას უადგილოდ ასამაღლებელ ნიშანს არ უკეთებდეს.

მეტყველების სწორი კილოსა და შესაფერი მოძრაობისათვის მიუგნიათ მსახიობებს **ა. ტუსიშვილს** და **ე. ურუშაძეს** ბავშვების—კოწოსა და კუწოს—როლებში. მოზარდი მაყურებელი ხედავს სცენაზე თავის ტოლებს, რომლებშიაც სცენიური სიტუაცია სიმართლის სიყვარულს ნერგავს და მათი საშუალებით ჯანსაღი შემოქმედება დარბაზშიც გადმოდის.

განსახიერებული გმირების წარმოსახვისათვის სწორი სცენიური სახე და ტონი მოუძებნიათ მსახიობებს **ა. ყიასაშვილს** (მეფე), **შ. მარიამიძეს** და **გ. ლუხუტაშვილს** (ფიცინას მეზობლები), **ვ. ძაგანიძეს, ვ. ტეტუნაშვილს** და **შ. ჩიკვაძეს** (ყასბები), **ი. შახელს, ი. აბრამიშვილს** და განსაკუთრებით **ი. ბერიაშვილს** (მეფის სასიძოები), შედარებით სუსტია **მ. ალნიაშვილი** (მასხარა). უაღრესად დასამახსოვრებელ სცენიურ სახეს ჰქმნის რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი **ნიკო გვარაძე** ქალაქის მოურავის როლში.

განსაკუთრებით საინტერესოდ დამუშავებული როლი გვიჩვენა მსახიობმა **გ. კუპრაშვილმა.** ის წუნიას ანსახიერებს. ნიჭიერი მსახიობი თავისი თამაშით ზედმეტად ამტკიცებს, რომ მსახიობისაგან ყველა როლი ერთნაირ მხატვრულ პასუხისმგებლობას მოითხოვს. გ. კუპრაშვილის თამაშში ვერ იპოვნით ზედმეტ შტრიხს. მდიდარ პლასტიკას იგი იმდენად ზომიერად იყენებს, რომ ზღაპრულ რეალიზმს წუთითაც არ ღალატობს. მსახიობს აქვს ჩინებული დიქცია, რის გამო ფრაზა უნაკლოდ მიდის მაყურებლამდე და სიცილის ნაკადად იღვრება დარბაზში.

დანარჩენი შემსრულებლები თავის მხატვრულ ზრდას უდავოდ ადასტურებენ და საერთოდ ანსამბლის მშვენიერ გრძნობას ამჟღავნებენ.

„კომბლე“ თბილისის მოზარდი მაყურებლის საყვარელი სპექტაკლია.

**გ. აბულაძე.**

## კულტლაშქრობა ხევსურეთში

ბარისახოს პირველადი ტერიტორიული პარტორგანიზაციისა და ალკკ ორგანიზაციების ინიციატივით მოეწყო მეორე კულტლაშქრობა ხევსურეთში. მონაწილეობენ ბარისახოს ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კულტლაშქრობის მონაწილენი უკვე იყვნენ სოფ. ბუჩუკურთაში და სოფ. ჩირდილში. ხევსურები დიდი სიხარულით ხვდებიან კულტმოლაშქრეებს, რომელნიც ხევსურთა შორის ახსნა-განმარტებითი მუშაობას ეწევიან ძველი ჩვეულებების ირგვლივ და მოუწოდებენ მათ ახალი კულტურისაკენ.

კულტლაშქრობა გრძელდება.

**მ. ჭინჭარაული.**

## პარტკალენდარი

**საქ. კ. პ. (ბ) გურჯაანის რაიკომი** აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2846974, გაცემული დავით იორდანეს-ძე ხელაშვილის სახელზე, პარტბილეთი № 3299003, გაცემული ალექსანდრე იოსების-ძე იმერლიშვილის სახელზე, და საკანდიდატო ბარათი № 2167440, გაცემული ზაქარია მალხაზის-ძე ლომიძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

**საქ. კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომი** აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1549986, გაცემული გიორგი მიხეილის-ძე აბზიანიძის სახელზე პარტბილეთი № 2847627 გაცემული ბაგრატ ლუკას-ძე ჯანჯალიას სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

**საქ. კ. პ. (ბ) გეგეჭკორის რაიკომი** აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1525509 გაცემული ალექსი დიმიტრის-ძე ბაჩილავას სახელზე, და საკანდიდატო ბარათი № 1682332, გაცემული ხარიტონ ანდრიას-ძე გრიგალავას სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

**საქ. კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომი** აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1522822, გაცემული ისიდორე გიორგის-ძე ადამიას სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

**საქ. კ. პ. (ბ) აბაშის რაიკომი** აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2845503, გაცემული ოლიფანტე ანტონის-ძე დავითაიას სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

**საქ. კ. პ. (ბ) ბორჯომის რაიკომი** აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2863133, გაცემული იონა გიორგის-ძე ჩადუნელის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

**საქ. კ. პ. (ბ) ონის რაიკომი** აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2853218, გაცემული გრიგოლ კიმოთეს-ძე მაისურაძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

**საქ. კ. პ. (ბ) ჩხოროწყუს რაიკომი** აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2839561, გაცემული აკაკი ხახუს-ძე ჯომიდავას სახელზე, და საკანდიდატო ბარათი № 3299112, გაცემული ლიზა თედორეს-ასული უბირიას სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

**საქ. კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომი** აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათი № 0714297, გაცემული შალვა სტეფანეს-ძე ვაშაკიძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

**საქ. კ. პ. (ბ) ლანჩხუთის რაიკომი** აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათი № 2156087, გაცემული გრიგოლ ლავრენტის-ძე გოგელიას სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

**საქ. კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიკომი** აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2842444, გაცემული ბაგრატ ფილიპეს-ძე კაკაბაძის სახელზე, და პარტბილეთი № 2842259, გაცემული თამარ ივანეს-ასული გიორგბეჩოვის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

**საქ. კ. პ. (ბ) საგარეჯოს რაიკომი** აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათი № 1683562, გაცემული ნიკოლოზ ანდრიას-ძე შიოშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

**საქ. კ. პ. (ბ) თიანეთის რაიკომი** აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1538490, გაცემული ხვთისო დავითის-ძე არაბულის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

## „აკაკი წერეთლის ცხოვრება და შემოქმედება“

პოეტის იუბილესათვის გამოდის რუსულ ენაზე დოცენტ გ. აბზიანიძის მონოგრაფია „აკაკი წერეთლის ცხოვრება და შემოქმედება“. მონოგრაფიის მოცულობა იქნება 3 ნაბეჭდი ფურცელი. (საქდესი).

## პოეტის სახელობის ბიბლიოთეკა

საიუბილეო დღესასწაულის დღეებში აკაკი წერეთლის სამშობლოში — სოფელ სხვიტორში (საჩხერის რაიონი) გაიხსნება პოეტის სახელობის ბიბლიოთეკა. ა. წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკა გაიხსნება აგრეთვე სოფელ სავანეში (სოფელ სხვიტორის მახლობლად), სადაც პოეტმა თავისი ბავშვობა გაატარა. (საქდესი).

## დღეს თეატრებსა და კინოებში

**თეატრებში,** სახოპერა — „დაისი“, **რუსთაველის** სახელობის—„გრაფის ქვრივი“, **მარჯანიშვილის** სახელობის — „კოლმეურნის ქორწინება“, **მუსკომედია**— „ხაჯარათი“, **მოზარდ მაყ. თეატრი** — „ლადო კეცხოველი“.

**კინოებში:** **რუსთაველის** სახ. — „ასი კაცი და ერთი ქალიშვილი“, **ოქტომბერი** — „მეთაურის ახალგაზრდობა“, **დამკვრელი** — „ასი კაცი და ერთი ქალიშვილი“, **კომკავშირელი** — „კენდილიარ“, **სპარტაკი**—„კენდილიარ“, **ლუქსემბურგის** სახ. — „მთის ნაკადი“, **26 კომ.** სახ. — „მთის ნაკადი“, **კომინტერნი** — „სოროჩინის ბაზრობა“, **ორჯონიკიძის სახ. პარკი** — „ჩემი უნივერსიტეტები“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
12 მაისს
დაისი
14 მაისს
5 აბ. 12 წარმ.
მეფის საცოლე
15 მაისს
2 აბ. 14 წარმ.
აბესალომ და ეთერი

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1939-40 წ. სეზონი
12 მაისს
გრაფის ქვრივი
14 მაისს
გრაფის ქვრივი
15 მაისს
გმირთა თაობა

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი
1939—40 წ. სეზონი.
12 მაისს
კოლმეურნის ქორწინება
14 მაისს
გიორგი სააკაძე
15 მაისს
ყვარყვარე თუთაბერი

### ამხ. ლ. პ. ბერიას სახელობის საქ. სას-სამ. ინსტიტუტთან არსებულ კვალიფიკაციის ამაღლებისა და დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე

ლაბორატორიულ-ლექციური მეცადინეობა იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც არ გამოცხადებულან ზამთრის შეკრებაზე, დანიშნულია ა. წ. 15 მაისიდან 15 ივნისამდე. კონსულტაციები და საგნების ჩაბარება 15 მაისიდან 1 ივლისამდე.

დაუსწრებელი მსმენელი, რომელიც წარმატებით ასრულებდა სასწავლო გრაფიკს, თანახმად სსრკ სახკომსაბჭოს 1938 წლის 29 აგვისტოს № 951 დადგენილებისა, ლაბორატორიულ-ლექციური მეცადინეობის პერიოდში თავისი წარმოება-დაწესებულებიდან მიიღებს ერთი თვის დამატებით შვებულებას.

157 **დირექცია.**

**დაკარგულია** ლენინის რაიონის გამწვანების სექციის ადგილკომის მრგვალი ბეჭედი და შტამპი. ჩ. გ. 6256

**დაკარგულია** ლენინის რაიონის სახლთმმართველობის № 2 სახლის სამკუთხედი ბეჭედი ჩ. გ. 6298

### თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს,

რომ ა. წ. 22 მაისს, საღამოს 7 საათზე (უნივერსიტეტის მთავარი შენობა) აუდ. № 103 ეკონომიური ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე **ვალერიან ივანეს-ძე აბულაძე** დაიცავს დისერტაციას ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: **„საქონლის გატარების ძირითადი საკითხები სსრ კავშირში“.**

ოფიციალური ოპონენტები: დოც. **მ. დონაძე,** ეკონ. მეც. კანდ. **ვ. ქორქაძე.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. 200

შალვა, თამარ საგინაძეები შვილებით ჯემალით და ნანულით იუწყებიან ძვირფასი დედის და ბებიის
**ანა ყაფლანის-ასულ საგინაძის**
გარდაცვალებას. გამოსვენება 12/V 1 ს. პლეხანოვის პრ. 140. 6268

ხალხური შემოქმედების ცენტრალური სახლის თანამშრომლები იუწყებიან ამავე სახლის მუშაკის შალვა (ბოჩია) გაბესკირიას დის
**ტატიანა მიხეილის-ასულ გაბესკირიას**
გარდაცვალებას. 6286

მშობლები არსენ, ბაბინე, და თამარ, ძმები მიშა, ჭოლა იუწყებიან
**რუბენ არსენის-ძე ხინთიბიძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 14/V ს. მელექედურში. 6277

პარასკევა დგებუაძისა შვილებით პოლიკარპეთი, სუსანათი, ოლიათი, მიშათი და თამარით იუწყებიან
**ოლღა ჯეირანის-ასულ ჟუჟუნია-ფალავას**
გარდაცვალებას. 6290

და ცაცა, სიძე დათიკო პატარაია შვილით პატარა კუკუჩკათი იუწყებიან
**ტატიანა მიხეილის-ასულ გაბესკირიას**
გარდაცვალებას. გამოსვენება 12/V 1 ს. ლენინის, 29, ვაკის სასაფლაოზე. 6297

მე-18 საშ. სკოლის პედკოლექტივი იუწყება დამსახურებული მასწავლებლის
**ელენე მიხეილის-ასულ შიუკაშვილის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 14/V ვაკის სასაფლაოზე. 6303

ძმა გრიშა, ცოლი ელენე, და თამარ იუწყებიან საყვარელ
**სიმონ ივანეს-ძე სამსონიას**
გარდაცვალებას. გამოსვენება 14/V 4½ ს. ჯორჯიაშვილის, 6. 6288

კატო გაჩეჩილაძე, ფევადოსი ვეფხვაძე, იულია ლექვინაძე, ბაბო კოსტავა, გიორგი ნიორაძე ოჯახებით იუწყებიან დის
**ანასტასია ყაფლანის-ასულ საგინაძის**
გარდაცვალებას. გამოსვენება 12/V 1 ს. პლეხანოვის, 140. 6272

ბიძები სანდრო, კოტე ბეჟიტაშვილები ცოლშვილით, დეიდაშვილი გოგი ასიტაშვილი ცოლშვილით, დეიდები ნინო, ოლია, თამარ, სალომე ქმარშვილით იუწყებიან
**ალექსანდრე (შურა) ლევანის-ძე მაილოვის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 12/V 4 ს. ათარბეგოვის, 42. ვაკის სასაფლაოზე. 6305

დედა დარია შიუკაშვილი შვილებით, შვილიშვილებით და სიძეებით იუწყება
**ელენე მიხეილის-ასულ შიუკაშვილის**
გარდაცვალებას. გადმოსვენება 1 საავადმყოფოდან 13/V 4 ს. მასწავლებელთა სახლში ფურცელაძის ქ. № 3 პანაშვიდი 7 ს. დაკრძალვა 14/V 5 ს. 6301

ამიერ-კავკასიის სტომატოლოგიური პოლიკლინიკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ამხ. ივანე ნიკოლოზის-ძე მაჩაბელს
**ევა ალექსანდრეს-ასულ ფავლენიშვილის**
გარდაცვალების გამო. 6293

ტრესტი „საქართველოს ჩაის“ მუშა-მოსამსახურენი თანაგრძნობას უცხადებენ ამხ. ი. პაიჭაძეს მისი მეუღლის
**ელენე პაიჭაძის**
გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 12/V 1 ს. კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება კამოს, 50.

მინადორა გაბესკირია, ჩაქო და ილია ფეოფილაქტოსები, მარო და კოტე ბაბუნაშვილები იუწყებიან ნათესავის და მეგობრის
**ტატიანა მიხეილის-ასულ გაბესკირიას**
გარდაცვალებას. 6271

იპოლიტე, ქეთო, ბერტა, ტარიელ ჭყონიები, ტუშა, ოსმან, ავთანდილ მგელაძეები, ნინო, კუკური, ზინა ჭყონიები იუწყებიან
**ოლღა ჯეირანის-ასულ ფალავას**
გარდაცვალებას. 6299

საქ. ფინსახკომის საგადასახადო სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან ვლადიმერ მოისეევის მამის
**გიორგი პლატონის-ძე მოისეევის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა სურამში 12/V. 6292

სამტრესტის და ღვინმრეწვაჭრობის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან სამტრესტის თანამშრომლის
**ტატიანა მიხეილის-ასულ გაბესკირიას**
გარდაცვალებას. 6300

მეუღლე ანტონ, შვილები ლევან, კაკო, ზინა, ქსენია, გუგული ოჯახებით, შვილიშვილი ბორია იუწყებიან
**ოლღა ჯეირანის-ასულ ფალავას**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 14/V ს. მარანში (აბაშის რ.). 6289

შვილები ვარდო, ლიზა ქმარშვილით, დათიკო, ვასიკო, არჩილ ცოლშვილით მოსეშვილები იუწყებიან
**ბარბალე (სასიკო) გიორგის-ასულ მოსეშვილის**
გარდაცვალებას. გამოსვენება 12/V 4 ს. მარის, 8, ვაკის სასაფლაოზე. 6257

ტრესტი „საქკომუნპროექტის“ თანამშრომლები იუწყებიან ლევან ლორთქიფანიძის ბიძის
**იოსებ ბეჟანის-ძე ლორთქიფანიძის**
გარდაცვალებას. 6264

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტი იუწყება, რომ ა/წ. 14 მაისს ქ. ზუგდიდში დანიშნულია
**შალვა ამბაკოს-ძე დვებუაძის**
სამოქალაქო პანაშვიდი.

დედა ქსენია, შვილები ვახტანგ, შოთა, ბელიკო, ბაბუა დიმიტრი წულეისკირი შვილებით, დეიდა ოლღა იუწყებიან
**კატუშა (ლუიზა) ივანეს-ასულ ზესაშვილის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ცხაკაიაში 14/V. 6294

პროფესორები ვარლამ, იასონ პავლეს-ძე მოსეშვილები ოჯახობით იუწყებიან მათი უფროსი ძმის ბართლომეს მეუღლის
**სასიკო (ბარბარე) გიორგის-ასულ მოსეშვილის**
გარდაცვალებას. გამოსვენება 12/V 4 ს. მარის, 8, ვაკის სასაფლაოზე. 6295

ცოლი ნინო, შვილები გრიგოლ, ვლადიმერ, სერგო ოჯახებით, ოლღა, ნადეჟდა ქმრით კაპიტონ პაიჭაძით იუწყებიან
**იაგორ პლატონის-ძე მოისეევის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა სურამში 12/V. 6296

კ. ვადაჭკორია, ა. აფხაიძე, დ. ესებუა, ლ. ზაუტაშვილი, დ. ხუციშვილი, დ. შაიშმელაშვილი, ს. წითლიძე, ი. ბექაური, ზ. მაჩაბელი, შ. აბესაძე, ს. კუპრაშვილი იუწყებიან მსახიობ გოგი ასიტაშვილის დეიდაშვილის
**შურა მაილოვის**
გარდაცვალებას. 6291

სიდედრი სარა, ცოლისძმები მაჟაკუ, გრიშა, ცოლისდა ეთერ კალანდაძეები იუწყებიან სიძის
**სიმონ ივანეს-ძე სამსონიას**
გარდაცვალებას. 6304

ა. ბახტაძე, ოლია, შალიკო გოგეშვილები, ნინო და გრიგოლ მიქაუტაძეები იუწყებიან
**ლუკა დავითის-ძე სანაძის**
გარდაცვალებას. 6283

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის 3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული ა—1412